

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მარი შოშიაშვილი

საქართველოში წარმოებული თბილის საექსპორტო პოტენციალი
ევროკავშირის ქვეყნების ბაზარზე

ეკონომიკისა და ბიზნესის სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ეკატერინე ზვიადაძე

თბილისი 2020

ანოტაცია

მსოფლიოში თხილი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა, რომელსაც მაღალი ეკონომიკური ღირებულება გააჩნია. თხილის კულტურა თავისი ეკონომიური მნიშვნელობითა და საერთაშორისო ბაზარზე ყოველწლიურად მზარდი მოთხოვნიდან გამომდინარე საქართველოშიც დიდ ინტერეს იწვევს. შესაბამისი ბუნებრივ-კლიმატური პირობები კი ქვეყანაში მაღალი ხარისხის თხილის წარმოების შესაძლებლობას იძლევა.

შესაძლებლობებისა და პერსპექტივების მიუხედავად, საქართველოში თხილის წარმოების პოტენციალი სრულიად არ არის ათვისებული, გარდა ამისა უკანასკნელ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში გამოჩნდა მავნებელი - აზიური ფაროსანა, რომელმაც სერიოზული ზიანი მიაყენა სოფლის მეურნეობას და მათ შორის თხილის კულტურას. გამოწვევათა შორის ასევე არის სვადასხვა დაავადებები, როგორებიცაა თხილის სოკო, ნაცარი, კვირტის ტვიპა, ამბროზიის ხოჭო და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა პრობლემების აღმოსაფხვრელად და გასულ წლებში შესაბამისი შედეგებიც იქნა მიღწეული, თუმცა კვლავ საჭიროა ყურადღების გამახვილება პრობლემებზე და, შესაბამისად, მათი კონტროლი მომავალში მსგავსი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად. მიუხედავად ზემოაღნიშნული პრობლემებისა, თხილის კულტურას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სტრუქტურაში. ქართული თხილის საექსპორტო ბაზარს კი ძირითადად ევროკავშირის ქვეყნები წარმოადგენენ.

კვლევის მიზანია ქართული თხილის წარმოებისა და ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის პოტენციალის კომპლექსური შესწავლა-შეფასება, პრობლემებისა და პერსპექტივების განხილვა და გადაჭრის გზების ძიება. უკანასკნელ წლებში წარმოქმნილი სირთულეების მიუხედავად, თხილის ბაზარი კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ და მომგებიან საქმიანობად საქართველოსთვის.

კვლევის საგანია საქართველოში წარმოებული თხილის საექსპორტო პოტენციალი ევროკავშირის ბაზარზე.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოში წარმოებული თხილი.

Mari Shoshiashvili

The export potential of Georgian hazelnut at the EU market

Annotation

Hazelnuts are one of the most important agricultural crops in the world and have a high economic value. Hazelnut culture, due to its economic importance and growing demand in the international market every year, is of a great interest in Georgia. Relevant natural-climatic conditions provide high quality hazelnuts' production in the country.

Despite the opportunities and prospects, the potential of hazelnut production in Georgia has not been fully exploited, in addition, in recent years in our country appeared pest, Brown marmorated stink bug, which have caused serious damage to agroculture in general and the hazelnut culture in particular. Among the challenges are also various diseases such as nut fungus, ash, bud mites, ambrosia beetle, etc. It should be noted that some steps have already been taken to eliminate the problems and some results have been achieved in recent years, but it is still necessary to focus on the problems and therefore control them to prevent similar threats in the future. Despite the problems mentioned above, hazelnut culture occupies an important place in the structure of the country's international trading. The main market for Georgian hazelnut are EU countries.

The aim of the research is to comprehensively study and evaluate the potential of Georgian hazelnut production and export in the EU market; Despite the hardships of the recent years, the hazelnut market still remains one of the most promising and profitable activities for Georgia.

The subject of the research is the export potential of hazelnuts produced in Georgia in the EU market.

The object of the research is the hazelnut produced in Georgia.

სარჩევი

შესავალი.....	6
თავი 1. თხილის კულტურა საქართველოში	8
1.1 თხილის მნიშვნელობა და გამოყენება	8
1.2 საქართველოში გავრცელებული ჯიშები	9
1.3 თხილის მოვლა მოყვანის ტექნოლოგიის ზოგადი დახასიათება	11
1.4 თხილის მავნებელ-დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები.....	12
თავი 2. თხილის წარმოების ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი.....	14
2.1 თხილის წარმოების ღირებულებათა ჯაჭვის მთავარი მონაწილეები და მათი დახასიათება.....	14
2.2 თხილის წარმოების დინამიკა რეგიონების მიხედვით	16
2.3 თხილის ფასების დინამიკა საქართველოში	20
თავი 3. თხილის ბალის გაშენების ხარჯები და ანალიზი	23
თავი 4. თხილის საერთაშორისო ბაზარი.....	26
4.1 საერთაშორისო ბაზრის თხილზე მოთხოვნა.....	26
4.2 თხილის მწარმოებელი უმსხვილესი ქვეყნები.....	27
4.2.1 თურქეთის თხილის ბაზარი	32
4.2.2 იტალიის თხილის ბაზარი.....	33
4.2.3 აშშ-ის თხილის ბაზარი	35
4.2.4 აზერბაიჯანის თხილის ბაზარი.....	36
4.2.5 ჩინეთის თხილის ბაზარი	36
4.2.6 ირანის თხილის ბაზარი.....	37
4.2.7 ესპანეთის თხილის ბაზარი.....	38
4.2.8 საფრანგეთის თხილის ბაზარი	40
4.2.9 ჩილეს თხილის ბაზარი.....	40
თავი 5. ქართული თხილის პრობლემები და მისი დაძლევის გზები	42
თავი 6. ქართული თხილის ექსპორტი.....	45

6.1 ქართული თხილის ექსპორტის დინამიკა და ანალიზი	45
6.2 ქართული თხილის პერსპექტივები ევროკავშირის ბაზარზე	56
თავი 7. SWOT ანალიზი.....	64
დასკვნა	65
გამოყენებული ლიტერატურა	67
დანართი 1.....	70

შესავალი

თხილი (corylus) ერთ-ერთი უძველესი კაკლოვანი კულტურაა. იგი მრავალწლოვანი ბუჩქად ზრდადი, ფოთოლმცვენი, სითბოს, სინათლისა და ტენის მოყვარული, როგორც ყინვაგამძლე, ასევე გვალვაგამძლე, ჩრდილის ამტანი მცენარეა. თხილი მდიდარია E-ვიტამინით, ჯანსაღი ცხიმებით, პროტეინებით და დიეტური საკვები უჯრედისებით.

თხილის ნაყოფი და მისგან დამზადებული პროდუქტები ფართოდაა გავრცელებული მთელს მსოფლიოში. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში თხილის მრავალმხრივი გამოყენებისა და სასარგებლო თვისებების გამო, მასზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება. 2018 წელს თხილის მსოფლიო წარმოებამ 863,888 ტონას¹ მიაღწია. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში თხილის მწარმოებელ უმსხვილეს ქვეყნებს წარმოადგენენ: თურქეთი, იტალია, აშშ, საქართველო, აზერბაიჯანი, ჩინეთი, ესპანეთი, ირანი, საფრანგეთი და ჩილე.

თხილი მსოფლიო საკონდიტრო წარმოების ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ინგრედიენტს წარმოადგენს და მასზე მოთხოვნა სტაბილურია. ევროკავშირის ქვეყნებში თხილს ძირითადად შოკოლადის, ნამცხვრების და სხვა საკონდიტრო პროდუქტების წარმოებაში იყენებენ, ამას გარდა იგი მოიხმარება დაფქული და პასტის სახითაც.

თხილის მიმართ მსოფლიოში არსებულმა მოთხოვნამ საქართველოში თხილის კულტურის საწარმო მიზნით გაშენებისა და მისი ნედლეულის ექსპორტირებისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაამძაფრა. გარდა ამისა, ისეთ მრავალწლოვან კულტურებთან შედარებით, როგორებიცაა ხილის ბაღი, ციტრუსოვანი კულტურები და ვენახი, 1 ჰა თხილის ბაღის გაშენებას გაცილებით ნაკლები მატერიალური დანახარჯები ესეჭიროება, რაც საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის, ძალზედ მნიშვნელოვანია.

თხილის კულტურა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში გვხვდება. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანას ბუნებრივი პირობებისა და წარმოების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საკმაო პოტენციალიც გააჩნია მსოფლიო ბაზარზე თხილის უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყნებისთვის კონკურენციის გასაწევად. საკმაოდ დიდი ხნის

¹ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/> [2]

განმავლობაში საქართველო თხილის მწარმოებელ ქვეყანათა პირველ ხუთეულში შედიოდა, (2014-2015 წლებში ქართული თხილის წარმოება მსოფლიო მასშტაბით მე-3 ადგილზე იყო), თუმცა 2015 წელს საქართველოში პირველად გამოჩნდა აზიური ფაროსანა და ქართულ თხილს გარკვეული პრობლემები შეექმნა. წარმოებამ ნელ-ნელა დაიწყო შემცირება, 2017 წელს კი ქართული თხილის ექსპორტი 2016 წელთან შედარებით ფაქტობრივად გაანახევრა. ამ მავნე მწერის გარდა ქართველ მეწარმეებს ბრძოლა უწევთ სოკოსთან და თხილის კვრიტის ტკიპასთან. ამიტომ მეწარმეები იძულებულნი გახდნენ შეეცვალათ თხილის მოვლა-მოყვანის მეთოდები. დღის წესრიგში დადგა თხილის ხშირი შეწამვისა და მეტი დაკვირვებულობის გამოჩენის აუცილებლობა.

კვლევაში განხილულია თხილის ჯიშები, მათი მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია, წარმოდგენილია თხილის წარმოებით დაკავებული უმსხვილესი ქვეყნების სტატისტიკური მონაცემები, ქართული თხილის წარმოებისა და ექსპორტის არსებული მდგომარეობა, საექსპორტო პოტენციალი ევროკავშირის ბაზარზე და მისი შესადარისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე განხილულია ის პრობლემები, რომელთა წინაშეც ქართული თხილი დადგა უკანასკნელი წლების განმავლობაში. ამას გარდა, კვლევა ითვალისწინებს პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას და პერსპექტივების გაანალიზებას.

კვლევა ეყრდნობა მეცნიერთა ნაშრომებს, ქართული და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებსა და სტატისტიკურ მასალას, ასევე ადგილობრივი მცირე მეწარმეების გამოცდილებას.

თავი 1. თხილის კულტურა საქართველოში

1.1 თხილის მნიშვნელობა და გამოყენება

თხილი (*Corylus*) ეს არის კაკლოვანი კულტურა, რომლის ნაყოფს წარმოადგენს ერთთესლიანი კაკალი. იგი იზრდება მუხნარებში, ფართოფოთლოვანი და წიწვოვანი შერეულ ტყეებში, სუბალპური მეჩხერში; ის არის ჩრდილის ამტანი და საკმაოდ ყინვაგამძლე, ბუნებრივად იზრდება ზღვის დონიდან 1500-1800 მ-მდე და გავრცელებულია ზომიერ, თხილ და ატმოსფერული ნალექებით მდიდარი ჰავის მქონე ტერიტორიებზე. თხილი ჩვეულებრივ ყვავილობს თებერვალ-მარტში, ხოლო ნაყოფი მწიფდება სექტემბერში; თხილის დედატოტი ცოცხლობს 70-80 წლის განმავლობაში, ბუჩქი კი 180-200 წელს. პროდუქტიულობის პერიოდია 40-45 წელი [4].

თხილი ერთ-ერთი უძველესი ტრადიციული, სტრატეგიული მნიშვნელობის კაკლოვანი კულტურაა. მისი წარმოშობის პირველ წყაროდ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო, კავკასია და მცირე აზია ითვლება. პონტოდან და მისი მიმდებარე რეგიონებიდან იგი ძველ საბერძნეთში პონტოს თხილის სახელწოდებით გავრცელდა [29]. მას შემდეგ, რაც ბერძნებმა იტალიის დაიპყრეს, თხილის კულტურა თავიანთ კოლონიებში სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში გაავრცელეს. იტალიის ე. აველანას მიდამოებში ფართოდ გავრცელების გამო კი პლინიუსმა მას „აველანა“ უწოდა. შავი ზღვის სანაპიროზე, კერძოდ კავკასიაში, თხილი ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-III საუკუნეებში გავრცელდა, თხილის ველური ფორმის ბუნებრივი გადარჩევის შედეგად წარმოიშვა სხვადასხვა ნიადაგსა და კლიმატურ პირობებს შეგუებული მაღალპროდუქტიული ჯიშები და ფორმები [3].

თხილი საქართველოს ჰავასთან კარგად ადაპტირდა და ქართულ კულტურაშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. საქართველოში საშობაო „ჩიჩილაკი“ სწორედ თხილის ტოტისგან მზადდება, გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოში ქართულ ტრადიციული ტკბილეულს ჩურჩხელას თხილისგან ამზადებენ განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოსგან, სადაც ჩურჩხელის დასამზადებლად ტრადიციულად ნიგოზი გამოიყენება. ეს ფაქტი მნიშვნელოვნად უსვამს ხაზს, თუ რაოდენ შემოიჭრა თხილი საქართველოს კულტურაში.

თხილი გავრცელების არეალია: ამერიკის კონტინენტი (აშშ, ჩილე), თითქმის მთელი ევროპა (სკანდინავიის ნახევარკუნძული, დანია, დიდ ბრიტანეთი, პირინეის ნახევარკუნძული, მცირე აზია, კავკასია და ყოფილი საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილი), აზია (ჩინეთი, მონღოლეთი, ირანი, თურქეთი, აზერბაიჯანი) და აფრიკის მხოლოდ ორი ქვეყანა (ტუნისი და კამერუნი).

თხილი მდიდარია სასარგებლო ნივთიერებებით, მათი შემცველობა 100გ თხილში: პროტეინები-12,6გ, ცხიმები-62,6გ, ენერგეტიკული ღირებულება-679კკალ, ნახშირწყლები-13,7გ, მინერალები-2,5გ, ვიტამინი B1-0,33მგ, ვიტამინი B2-0,12მგ, ვიტამინი B6-0,24მგ, ვიტამინი E-31,4 მგ, რკინა-5,8 მგ, კალციუმი-160,0მგ, თუთია-2,2მგ, კალიუმი-655,3მგ, ნატრიუმი-2,1მგ, მაგნიუმი-161,2მგ, ფოსფორი-354მგ. 400გრ თხილი თავისი კალორიულობით უზრუნველყოფს ზრდასრული ადამიანის დღეღამურ მოთხოვნილებას საკვებზე [6].

თხილის სასურსათო ღირებულებას განსაზღვრავს ნაყოფში ცხიმების, ცილების და სხვადასხვა ვიტამინების შემცველობა. თხილის გულისგან დამზადებული ზეთი გამოიყენება კვების მრეწველობაში (განსაკუთრებით საკონდიტრო წარმოებაში), მედიცინასა და პარფიუმერიაში. თხილის მშრალი გულისაგან მზადდება ფქვილი, რომელიც გამოიყენება ბავშვთა საკვები პროდუქტების დასამზადებლად. თხილის ნაყოფი გამოირჩევა შენახვის კარგი უნარით, ორი წლის განმავლობაში არ კარგავს სასაქონლო მაჩვენებლებს, კვების ღირებულებას, ამას გარდა კარგად ტრანსპორტირდება პროდუქტის დაზიანების გარეშე [24].

1.2 საქართველოში გავრცელებული ჯიშები

თხილის (*Corylus*) გვარი მრავალ სახეობას მოიცავს, რომლებიც გავრცელებულია უმეტესწილად ევროპაში, აზიაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, იშვიათია აფრიკაში, მცირე რაოდენობით ავსტრალიაშიც.

მსოფლიოში თხილის მრავალი ჯიში არსებობს, ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან გულის გამოსავლიანობის, თხილში ცხიმის შემცველობის, თხილის გულის ზომისა და ფორმის, ხეზე მოსავლიანობის მიხედვით.

საქართველოში გავრცელებული ადგილობრივი ჯიშებია:

საზოგადო სახელი: თხილი

სახეობის სახელწოდება: *Corylus avellana* L.

1. ნიჯ-ფუნდუკი, ათა-ბაბა - (*Corylus avellana* 'Ata-Baba', *Corylus Avellana* 'Nij-Phunduk'), წარმოშობის ადგილია აღმოსავლეთ საქართველო - კახეთის რეგიონი.
2. ანაკლიური (*Corylus Avellana* 'Anakliuri') მიღებულია ხალხური სელექციის შედეგად, გავრცელებულია დასავლეთი საქართველოში - სამეგრელო (ზუგდიდისა და გალის რაიონები).
3. გულშიშველა (*Corylus avellana* 'Gulshishvela'), წარმოშობის ადგილია დასავლეთ საქართველო - გურიის რეგიონი.
4. დედოფლის თითი (სინონიმი: აკაკი წერეთლის თხილი, დამსკი პალჩიკი, ბადემი) (*Corylus Avellana* 'Dedophlis Titi'), წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს (იმერეთის რეგიონი) ენდემს.
5. ვანის თეთრი (*Corylus Avellana* 'Vanis Tetri'), წარმოშობის ადგილი დასავლეთ საქართველო - იმერეთის რეგიონი (ვანის რაიონი).
6. ვანის წითელი (*Corylus Avellana* 'Vanis Tseli'), წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს ენდემს, გავრცელებულია იმერეთის რეგიონში (ვანის რაიონი).
7. იმერული; იმერეთი 11 (*Corylus Avellana* 'Imeruli', *Corylus avellana* 'Imereti 11'), წარმოშობის ადგილი დასავლეთ საქართველო - იმერეთის რეგიონი.
8. ლეგი (*Corylus Avellana* 'Legi', *Corylus Avellana* 'Imereti'), წარმოშობის ადგილია დასავლეთ საქართველო - იმერეთის რეგიონი.
9. ნემსა (*Corylus Avellana* 'Nemsa') ჯიშში წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს (სამეგრელოს რეგიონი) ენდემს.
10. შველისყურა (*Corylus Avellana* 'Shveliskura'), წარმოშობის ადგილია დასავლეთ საქართველო - გურიის რეგიონი.
11. ჩხიკვისთავა (*Corylus Avellana* 'Chkhikvistava'), დასავლეთ საქართველოს ენდემი - გურიის რეგიონი.
12. ცხენის ძუმუ, იგივე ცხენისკბილა (*Corylus Avellana* 'Tskhenis Dzudzu'), წარმოშობის ადგილი დასავლეთი საქართველო - იმერეთის რეგიონი.

13. ხარისთვალა, სინონიმები: ხოჯის თხილი, ხოჯიმ თოლი (*Corylus Avellana* 'Kharistvala'), წარმოშობის ადგილი დასავლეთი საქართველო, სამეგრელოს რეგიონი.
14. ხაჭაპურა (*Corylus Avellana* 'Khat shapura'), წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს ენდემს - იმერეთის რეგიონი.
15. უჩა თხილი, იგივე კერასუნდის წვრილი (*Corylus Avellana* 'Ucha Tkhili'), დასავლეთ საქართველოს ენდემია, გავრცელებულია სამეგრელოს რეგიონში [13].
გარდა ზემოთ ჩამოთვლისა, მნიშვნელოვანია, გამოიყოს არაენდემური ჯიშები, რომლებიც საქართველოში სამრეწველოდ ყველაზე ხშირად გამოიყენება, ესენია:
 1. ბარსელონა - ამერიკული წარმოშობის ჯიში;
 2. ლომბარდიის თეთრი - წარმოშობის ადგილი იტალიაა;
 3. ლომბარდიის წითელი - წარმოადგენს იტალიის ერთ-ერთ უძველეს ჯიშს;
 4. განჯა - შემოტანილია აზერბაიჯანიდან [30].

1.3 თხილის მოვლა მოყვანის ტექნოლოგიის ზოგადი დახასიათება

ნიადაგისადმი კარგი შემგუებლობლობა თხილის კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსებაა; იგი კარგად ხარობს როგორც მჟავე, ისე ნეიტრალურ და ტუტე ნიადაგებზე. მისთვის საუკეთესოა ჰუმუსით მდიდარი სტრუქტურული ნიადაგები. ის ვერ ეგუება ჭარბტენიან და ბიცობ ნიადაგებს. წყლისადმი საკმაოდ მომთხოვნია, თუმცა კარგად იტანს სიმშრალესაც. თხილი ფართოდ ვრცელდება საკმაოდ განსხვავებულ კლიმატურ პირობებში, თუმცა თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, მისთვის უმჯობესია, გამოიყოს გარკვეული სიდიდის ვაკე, ან მცირე დაქანების ფერდობები. თხილს ფესვები ნიადაგის ზედა ფენებში ჰორიზონტალურად იზრდება, რითაც ამაგრებს და იცავს ნიადაგს ჩამორეცხვისაგან. ამ თვისების გამო თხილს ხშირად იყენებენ 200-ზე მეტ დაქანებულ ფერდობებზე გასაშენებლად [1].

თხილის ვეგეტატიური გამრავლება რამდენიმე ხერხით ხდება, ესენია: გადაწვევით გამრავლება, ფესურებით გამრავლება, ბუჩქის დაყოფით გამრავლება, დაკალმებით გამრავლება და მცნობით გამრავლება.

ვაკე და მცირე დაქანების ფერდობებზე ნიადაგის ძირითადი დამუშავება ტარდება 40სმ სიღრმეზე; ყოველ ჰექტარზე შეიტანება ფოსფორი და კალიუმი. 200-მდე დაქანების ფერდობებზე ეწყობა აგროტერასები, რისთვისაც თხილის მწკრივიდან ერთი მეტრის დაშორებით ნიადაგის ზოლზე ითესება ისეთი მრავალწლიანი ბალახების ნარევი, როგორცაა კონდარი და სამყურა. აღმოცენებული ბალახებს აქვთ უნარი, შეაჩერონ წვიმებისაგან ჩამონარეცხი მიწის მასა და ამგვარად იქმნება აგროტერასა.

ბაღები შესაძლებელია გაშენდეს კვადრატულად, სწორკუთხოვნად ან ჭადრაკულად. მწკრივების მიმართულება ვაკე ადგილებში ნებისმიერი, ხოლო ფერდობებზე ჰორიზონტალურია. ჩვეულებრივ თხილის გაშენება ხდება შემდეგი დისტანციის პრინციპებით: 7x6 მ, 7x4 მ, 6x6 მ, 6x4 მ, 5x5 მ, 4x4 მ. თხილის ბაღის გაშენება რეკომენდირებულია შემოდგომით, განსაკუთრებით ოქტომბერ-ნოემბერში. ნერგები ფრთხილად გადაიტანება ნაკვეთში. დარგვამდე რეკომენდირებულია, რომ ნერგები ამოველოს წუნწახში, თითოეულ ორმოში კი ირგვეს 1-3 ნერგი, 10-15 სმ დისტანციით. ამ ტიპის რგვა ნერგის გახარების შესაძლებლობებს ზრდის და დაბუჩქვას აჩქარებს [11].

დარგვიდან სამი წლის შემდეგ იწყება ნარგავების გასხვლა და ფორმირება. ნიადაგის მოვლა-განოყიერება, ასევე მნიშვნელოვანია მებაღემ დიდი ყურადღება და დაკვირვება გამოიჩინოს მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი შემოსევა ან სხვადასხვა დაავადებათა წარმოქმნა.

1.4 თხილის მავნებელ-დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები

საქართველოში თხილის კულტურაზე აღრიცხულია 100-ზე მეტი მავნებელი და 20 სხვადასხვა სახის დაავადება. მავნებელთა შორის ყველაზე საყურადღებოა: ამერიკული თეთრი პეპელა, ფოთოლჭამია, მზომელა, ხარაბუზა, ტკიპა, ბაღლინჯო, ამბროზიის ხოჭო, აზიური ფაროსანა და სხვ.

აღნიშნულ მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებები შემდეგნაირია:

1. ამერიკული თეთრი პეპელა (*hyphantria cunea drury*), მთვარისებრი მზომელა (*Operophtera brumata*), მაისის ღრაჭა (*Melolontha*), მურყნის ფოთოლჭამია (*Agelastica a'ni*)- ლამბდა ციპლოტრინი;

2. კვირტის მეგალე ტკიპა (*Phitocoltella Nal*)- სპირიდოკლოფენის გამოყენება ადრეულ გაზაფხულზე, მასთან კომბინირებულად ასევე შეიძლება გამოვიყენოთ გოგირდის ფხვნილი;
3. მწვანე ბაღლინჯო (*Palomena prasina*), არშიანი ბაღლინჯო (*Gonocerus acuteangulatus*), კუსებურა ბაღლინჯო (*Nezaria viridula*)- ლამბდა ციკლოტრინი, ან დელტამეტრინი;
4. შავი ხარაბუზა (*Oberea Linearis*), ქსილიბორუსი (*xyleborus*), ქერქიჭამია ხოჭო (*Agrilus viridis L*) - დაზიანებული ტოტების მოჭრა, ქლოროპირიფოსის გამოყენება [28].

თხილის დაავადებებიდან ყველაზე გავრცელებულია სიდამპლის გამომწვევი სოკო-ორგანიზმები, ნაცრისფერი სიდამპლე, ყავისფერი სიდამპლე, ანთრაკნოზი, ფოთლის სილაქავე, ფუზარიუმი, ხავსები და ლიქენები, ნაცარი, ფუზარიუმი, ხავსები, ლიქენები, ტრაქეომიკოზური ხმოზა, ვირუსული დაავადებები და სხვ.

მავნებელ-დაავადებათა ინტეგრირებული მართვა გულისხმობს მონიტორინგს, მავნებელთა ხაფანგების გამოყენებას, ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის შესახებ ინფორმაციის გათვალისწინებას, ნიადაგის დამუშავებას, დარგვას ვადებისა და ყოველგვარი წესების დაცვით. უნდა მოხდეს ქიმიური და ბიოლოგიური სანიტარულ-ჰიგიენური წესების და პრევენციული ღონისძიებების გატარება. ამ ყველაფრის პარალელურად, მნიშვნელოვანია მეწარმის მიერ ჩანაწერების წარმოება.

იქიდან გამომდინარე, რომ თხილის კულტურა მეტად მგრძობიარეა ქიმიური პრეპარატების მიმართ, პესტიციდების გამოყენებისას აუცილებელია დაცული იყოს ეტიკეტზე მითითებული რეკომენდაცია. პრეპარატების არასწორმა შერჩევამ ან კონცენტრაციის თვითნებურმა გაზრდამ შეიძლება ზიანი მიაყენოს თხილს. მავნებელ-დაავადებებათა მიერ გამოწვეული დანაკარგები მსოფლიოში ყოველწლიურად საშუალოდ 74,9 მლრდ დოლართაა შეფასებული. დანაკარგების თავიდან ასაცილებლად კი უნდა იქნას გამოყენებული ბიოლოგიური, აგროტექნიკური და სხვა ინტეგრირებული ბრძოლის ღონისძიებები.

თავი 2. თხილის წარმოების ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი

2.1 თხილის წარმოების ღირებულებათა ჯაჭვის მთავარი მონაწილეები და მათი დახასიათება

საქართველოში თხილი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა, მას მაღალი ეკონომიკური ღირებულება გააჩნია. ხელსაყრელი კლიმატური და ბუნებრივი პირობები, რაც შავი ზღვის სანაპირო ზოლთან სიახლოვეთ არის განპირობებული, ქვეყანაში თხილის წარმოების კარგ შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

თხილის ფართობების ზრდის ხელშეწყობის მიმართულებით აღსანიშნავია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ მიერ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამა „თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის გზით“, რომელიც 2015 წელს დაიწყო და პროგრამის მიზანს წარმოადგენდა თხილის წარმოების, გადამამუშავების, რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა, თვითღირებულების შემცირება და საექსპორტო პოტენციალის ზრდა. პროგრამის მხარდაჭერით აშენდა თხილის გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც გადაეცა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებულ კოოპერატივს - „დარჩელის თხილი“. აღნიშნულ საწარმოში ყოველდღიურად შესაძლებელია 24 ტონა თხილის გაშრობა და ერთდროულად 500 ტონა თხილის დასაწყობება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საწარმოს აქვს შესაძლებლობა დაინერგოს გლობალური სოფლის მეურნეობის საუკეთესო პრაქტიკის (Global GAP) და საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის (HACCP) სტანდარტი [35].

სქემა 2.1.1 ქართული თხილის ღირებულებათა ჯაჭვი [5]



ქართული თხილის წარმოების ღირებულებათა ჯაჭვში რამდენიმე მნიშვნელოვანი რგოლი მონაწილეობს, ესენია:

1. თხილის მწარმოებლები - ფერმერები და გლეხები. რომლებიც თავიანთ ბალებში მოყვანილ თხილს ყიდიან გადამყიდველებზე, დამამზადებლებსა და სხვადასხვა საწარმოებზე. მიყიდვას. ბაზარზე თხილის მიწოდების რეგულირების მხრივ საკმაოდ მდიერი რგოლია.

2. თხილის გადამყიდველები - კერძო პირები, რომლებიც სეზონის დასაწყისში ყიდულობენ თხილს, აჩერებენ და სასურველ დროს ყიდიან. ისინი საკუთარი ფინანსური რესურსებით საქმიანობენ, ამიტომ მათი საქმიანობა საკმაოდ რისკიანია. ეს რგოლი არის გადამამუშავებელი საწარმოების ძირითადი მომმარაგებელი, ამიტომ ამ რგოლს აქვს შესაძლებლობა ხელოვნურად გამოიწვიოს შესასყიდი ნედლეულის ფასების ცვლილება.

3. თხილის დამამზადებლები - ეს რგოლი წარმოადგენს საწარმოების მიერ წინასწარ დაფინანსებული პირებს ან პირთა ჯგუფებს, რომლებიც ყოველდღიურ კავშირში არიან საწარმოსთან და შეთანხმებული ფასით შეისყიდიან და მიაქვთ საწარმოში. ისინი ინიცირებულნი არიან გადამამუშავებელი საწარმოების მიერ. მათი უპირატესობა უშუალოდ ბალებიდან თხილის შესყიდვის შესაძლებლობაა. როგორც წესი, დამამზადებლები სპეციალიზდებიან გეოგრაფიული არეალის მიხედვით, რაც განპირობებულია მათი ამ არეალის ცოდნით და მათ მიმართ სანდოობით.

4. თხილის გადამამუშავებელი, ექსპორტიორი საწარმოები - თავად ამუშავებენ თხილის გულს, ასევე ყიდულობენ და შესაბამისი პარამეტრებით შერჩევის შემდეგ გააქვთ ექსპორტზე.

5. თხილის საექსპორტო ბაზარი - ესენი არიან პირდაპირი შემსყიდველი კომპანიები (მსხვილი უცხოური იმპორტიორები) ან გადამყიდველები. ევროპელი პირდაპირი შემსყიდველი კომპანიები საქართველოში არც თუ ისე ხშირია. გადამამუშავებელი საწარმოები ძირითად აქცენტს აკეთებენ ექსპორტის რაოდენობაზე და არა მოგების მარჯაზე, ამიტომ რაოდენობრივად მათი წილი მთლიან ექსპორტში საკმაოდ დიდია. ექსპორტის თითქმის ნახევარის გაყიდვა ხდება გადამყიდველი კომპანიებისა და კერძო პირების მიერ.

6. თხილის გადამამუშავებელი საამქროები - ეს კატეგორია აერთიანებს მცირე ზომის საწარმოებს, რომლებიც ძირითადად ადგილზე დამზადებული დანადგარებით არიან აღჭურვილი. ისინი მხოლოდ თხილის გულს აწარმოებენ და აწვდიან ექსპორტიორ საწარმოებს.

2.2 თხილის წარმოების დინამიკა რეგიონების მიხედვით

საქართველოს კლიმატური პირობები თხილის კულტურის გავრცელების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია. თხილის ბალები ძირითადად გვხვდება სამეგრელოს, გურიის, იმერეთის, აჭარის და კახეთის რეგიონებში. რაც შეეხება ჯიშობრივ შემადგელობას, იგი ცვალებადია. საქართველოში თხილის გაშენება-მოყვანა ძირითადად მცირე ფერმერულ მეურნეობებში ხდება, თუმცა ბოლო პერიოდში გაშენდა სამრეწველო ბალებიც.

თხილის ზრდა-განვითარებასა და მის პროდუქტიულობაზე უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ნიადაგურ-კლიმატური პირობები. იქიდან გამომდინარე, რომ თხილს გააჩნია ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ნიადაგის ზედა ფენებშია განლაგებული, მცენარე მისი დახმარებით ამაგრებს და ჩამორეცხვისაგან იცავს ნიადაგს. შესაბამისად, იმ მიწებზე, სადაც სხვა კულტურების მოყვანა შეუძლებელია ან დიდ ძალისხმევას მოითხოვს, თავისუფლად შესაძლებელია გაშენდეს თხილი [13].

საქართველოში თხილის ბალები და პლანტაციები ძირითადად გაშენებულია სამეგრელო-ზემო სვანეთში, გურიასა და იმერეთში. დასავლეთ საქართველო თხილის გასაშენებლად საჭირო ნიადაგობრივ და კლიმატურ პირობებთან ყველაზე ახლოსაა. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქ კომერციული თვალსაზრისით თხილის გავრცელებისათვის ყველაზე ხელსაყრელია კახეთის, რომლის აგროკლიმატური მახასიათებლები დასავლეთ საქართველოს თხილის გავრცელების ზონასთან საკმაოდ ახლოსაა და სათანადო აგროტექნიკური ღონისძიების გატარება თხილის საწარმოო გავრცელების არეალის გაფართოებას ხდის შესაძლებელს. თხილის კულტურა კარგ მოსავალს იძლევა მშრალ და ტენიან სუბტროპიკულ ზონებში, სადაც ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 13-14 °C.

ცხრილი 2.2.1 თხილის წარმოება რეგიონების მიხედვით (2006-2018 წწ)²

თხილის წარმოება რეგიონების მიხედვით (ათასი ტონა)													
	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
საქართველო	23.5	21.2	18.7	21.8	28.8	31.1	24.7	39.7	33.8	35.3	29.5	21.4	17.0
აჭარის არ	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1.5	2.4	1.3
გურია	5.7	4.5	4.2	3.7	3.7	6.8	5.9	9.0	6.2	6.2	7.2	6.4	1.9
იმერეთი	3.2	3.2	3.9	3.2	2.4	4.8	3.4	5.6	3.2	4.2	3.4	2.8	1.4
კახეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1.2	2.0	2.3
მცხეთა-მთიანეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	0.1	0.1	0.1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	13.5	12.0	9.3	11.4	20.8	15.8	11.8	20.5	20.7	18.8	15.3	7.3	9.5
ქვემო ქართლი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	0.5	0.3	0.3
შიდა ქართლი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	0.1	0.1	0.1
დანარჩენი რეგიონები	1.1	1.5	1.3	3.5	1.9	3.7	3.5	4.6	3.6	6.1	0.0	0.1	0.1


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური <https://www.geostat.ge/> [9]

საქართველოში წარმოებული თხილის 40%-ზე მეტი სამეგრელო-ზემო სვანეთზე მოდის. ტრადიციულად მას მოყვება გურიისა და იმერეთის რეგიონები, თუმცა უკანასკნელ წლებში შეინიშნება ტენდენცია კახეთის, როგორც თხილის მწარმოებელი რეგიონის ზრდისა. 2018 წელს კახეთი, საქართველოს თხილის მწარმოებელ უმსხვილეს რეგიონთა შორის, სამეგრელო-ზემო სვანეთის შემდეგ მეორე ადგილზე იყო, მისმა წილმა 13% შეადგინა.

2018 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში წარმოებული თხილის რაოდენობა კი 9.5 ათასი ტონა იყო. კახეთში წარმოებული თხილის რაოდენობა 2016 წელს 1.2 ტონას, 2017 წელს 2 ტონას, ხოლო 2018 წელს 2,3 ტონას შეადგენდა (იხ. ცხრილი 2.2.1). მესამე ადგილზე კი გურიაა 1.9 ტონა წარმოებული თხილით.

² „-“ დაკვირვების მონაცემები არ არსებობს.

დიაგრამა 2.2.2 საქართველოში წარმოებული თხილის რაოდენობა 2006-2019³ წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური <https://www.geostat.ge/> [9]

ქართული თხილი საერთაშორისო ბაზარზე წლების განმავლობაში ფლობდა მოწინავე ადგილს, თუმცა უკანასკნელ პერიოდში არსებულმა პრობლემებმა მნიშვნელოვნად იმოქმედეს როგორც მოსავლის რაოდენობაზე, ასევე ქართული თხილის რეპუტაციაზე და პოზიციის დაქვეითებაც გამოიწვია.

2013 წელს საქართველოში შეიქმნა თხილის მწარმოებელთა ასოციაცია, რომელიც 8,200-მდე წევრს აერთიანებს. მისი ძირითადი მიზანია საქართველოში თხილის მოვლა-მოყვანასთან დაკავშირებული ცოდნის ამაღლება, თხილის ხარისხის გაუმჯობესება და წარმოების ზრდა. ასოციაციის მუშაობა გამოირჩევა იმით, რომ მასში გაერთიანებული ფერმერები იყენებენ ჯგუფური მუშაობის მეთოდს, რაც მათ საშუალებას აძლევს ერთმანეთს გაუზიარონ ცოდნა და გამოცდილება. ამას გარდა ასოციაციის წევრები სარგებლობენ სხვადასხვა შეღავათებით, როგორცაა: ნიადაგის გამოკვლევა, თანამედროვე ტექნოლოგიებზე წვდომა და სხვ. მათთვის ასევე ხელმისაწვდომია აგროკრედიტები სასუქებისა და პესტიციდების შესაძენად [21].

საქართველოში არსებულ თხილის გადამამუშავებელ საწარმოთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

³ 2019 წლის წინასწარი მონაცემები

კომპანია “Nice Nuts”, რომელიც 2003 წლიდან არის ჩართული სექტორის საქმიანობაში, უკვე 2014 წელს კი შეიძინა გადამამუშავებელი ქარხანა ზუგდიდში. კომპანიის მფლობელობაშია საქართველოს სხვადასხვა რაიონებში 350 ჰექტარზე გაშენებული თხილის პლანტაციები, რაც წელიწადში 700-750 ტონა თხილის მოსავალს იძლევა [18].

თხილის გადამამუშავებელი საწარმო "ჯორჯიან პროდაქტს რენესანსი", რომელიც ძირითადად ექსპორტზეა ორიენტირებული. კომპანია ქართული თხილის ექსპორტს 2015 წლიდან ახორციელებს. 2019 წელს საწარმომ 30 ქვეყანაში 0.9 ათასი ტონა გადამამუშავებული თხილი გაიტანა ექსპორტზე, რომლის საერთო ღირებულებამაც 4 მლნ დოლარი შეადგინა. კომპანიაში დასაქმებულია 80 ადამიანი [26].

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ნარაზენში მდებარე საწარმო “GEO FOOD”, რომელიც 2016 წელს ამოქმედდა. ქარხნის ასაშენებლად ინვესტიცია ლიტვმა ინვესტორებმა ჩადეს და კომპანია ექსპორტსაც სწორედ ლატვიასა და ლიტვაში ახორციელებს. საწარმოში პირველ ეტაპზე დასაქმდა 45 ადგილობრივი [27].

შპს „ჯეო ნათსი“, რომელიც 2018 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში ამოქმედდა. საწარმო შეიქმნა „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში. პროდუქცია მთლიანად ექსპორტისთვის არის განკუთვნილი. საწარმოში 100-მდე ადამიანია დასაქმებული. საწარმოში 1,5 მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 600 ათასი ლარი გრანტია, ხოლო 779 ათასი ლარი შეღავათიანი აგროკრედიტი. 2018 წელს აქ 2,000 ტონა ნედლეული გადაამუშავეს და მთლიანად ევროპის ბაზარზე გაიტანეს. საწარმო ნედლეულს იღებს როგორც საკუთარი პლანტაციებიდან, ასევე 3,000-მდე ადგილობრივი ფერმერისგან [36].

2.3 თხილის ფასების დინამიკა საქართველოში

თურქეთი არის თხილის უმსხვილესი მწარმოებელი და ექსპორტიორი, ამიტომ ფასების ფორმირებაც გარკვეულწილად მათი კარნახით ხდება. როგორც წესი, თურქული თხილის ფასი საერთაშორისო ბაზარზე მეტია ვიდრე ქართული თხილის, რაც ძირითადად განპირობებულია ევროპელი შემსყიდველი კომპანიების თურქეთისადმი

მაღალი ნდობით, თურქული თხილის ხარისხითა და მიწოდების პირობებით. ასევე თურქული საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი სერტიფიცირებულია და აკმაყოფილებს ევროსტანდარტებს, რაც ევროგაერთიანებაში პროდუქციის მაღალი ფასით ექსპორტირებას განაპირობებს. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პირველად წარმოებაშიც აქვთ დანერგილი სტანდარტები, რაც კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია მსოფლიო ბაზარზე.

საქართველოში წარმოებული თხილის ხარისხი თანდათანობით უმჯობესდება, მაგრამ პრობლემები მრავლად არის. საჭიროა ძირითადი პირველადი და გადამამუშავებელი წარმოების სტანდარტების დანერგვა. ამიტომ აუცილებელია თხილის წარმოების ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად.


დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოთა სერტიფიცირებას ვინაიდან სერტიფიცირებული საწარმოები სარგებლობენ იმ უპირატესობებით, რომ მათი პროდუქციის სარეალიზაციო ფასი უფრო მაღალია არასერტიფიცირებული საწარმოების პროდუქციის ფასზე; მათი პროდუქციის რეალიზაცია ბაზარზე გაცილებით ადვილად ხდება და შესაბამისად საწარმოო სიმძლავრეებიც სრულად იტვირთება; რაც ყველაზე მთავარია, მათ მეტი შესაძლებლობა აქვთ უშუალოდ საკონდიტრო ნაწარმის დამამზადებელ ევროპული კომპანიების პირდაპირი მიმწოდებლები გახდნენ [23].

2015 წელს აზიური ფაროსანა პირველად გამოჩნდა საქართველოში, რომელმაც დიდი პრობლემები შეუქმნა ქართულ თხილს, მან 80%-მდე თხილის მოსავალი გაანადგურა, ეს კი რა თქმა უნდა მის ფასზეც აისახა. 2016 წლის მონაცემებით თხილის საშუალო ფასი საქართველოში 4.45 ლარს შეადგენდა, 2017 წელს კი ფასი 2.94 ლარამდე შემცირდა (იხ. დიაგრამა 2.3.1). ამასთან არსანიაშნავია 2018 წელს თხილის ფასის ზრდის მიმართულებით ცვლილება, რაც ფაროსანას წინააღმდეგ წინ გადადგმული ნაბიჯებითაა განპირობებული.

რეგიონული თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ყველაზე მაღალი ფასი კახეთში წარმოებულ თხილს აქვს (6.09 ლარი), ეს ფაქტი ერთი შეხედვით უცნაურიც შეიძლება მოგვეჩვენოს, ვინაიდან თხილის მწარმოებელ რეგიონებად დასავლეთ საქართველო მეტად მიიჩნევა, თუმცა აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი,

რომ აღმოსავლეთ საქართველოში მეტადაა განვითარებული მიწის მოვლის კულტურა. შესაბამისად კახური თხილის ხარისხიც მაღალია. ამას გარდა აღნიშნულ რეგიონს ფაროსანას პრობლემა არ შეეხება, შესაბამისად თხილის ხარისხიც სტაბილურად მაღალი დარჩა.

დიაგრამა 2.3.1 თხილის ფასები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (2016-2018წწ)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური <https://www.geostat.ge/> [9]

რაც შეეხება გურიის რეგიონში წარმოებული თხილის ფასს, იგი საგრძნობლადაა შემცირებული, ჯერ კიდევ 2016 წელს ის 2.27 ლარს შეადგენდა, 2018 წელს კი მისი ფასი 2.01 ლარამდე დავარდა. რაც შეეხება სამეგრელო-ზემო სვანეთს, თხილის ფასი არასტაბილურია და მერყეობას განიცდის, 2016 წელს მეგრული თხილის ფასი 4.39 ლარს უდრიდა, 2017 წელს მისი ფასი 2.94 ლარამდე დაეცა, ხოლო, უკვე 2018 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთში თხილის ფასმა 2018 წლის ყველაზე მაღალ ნიშნულს 5 ლარს მიაღწია (იხ. დიაგრამა 2.3.2).

თავი 3. თხილის ბადის გაშენების ხარჯები და ანალიზი

თხილის გაშენება შესაძლებელია როგორც სახნავ, ისე სხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის ნაკლებად ვარგის ფართობებზე. ამ დანიშნულებით ყველაზე ოპტიმალურია: ხევები, მდინარის ნაპირები, სარწყავი არხების იზოლირებული ზოლები, აგრეთვე ტყეებუჩქნარებით დაკავებული ფართობები. საქართველოში ასეთი ფართობები საკმაოდ მრავლადაა, რომელთა ამოძირკვა-გაწმენდისა და ნიადაგის მომზადების სრული ციკლის ჩატარების შემდეგ, ასობით ჰექტარზე შეიძლება თხილის პლანტაციის გაშენება. აღნიშნული მოთხოვნებიდან გამომდინარე, თხილის სანაყოფე პლანტაციების გაშენების კარგი პირობები არსებობს როგორც დასავლეთ (ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ოზურგეთისა და ლანჩხუთის), ისე აღმოსავლეთ (ალაზნის ველი, ყვარლისა და ლაგოდეხის ნახევრად სუბტროპიკული რაიონები) საქართველოში [11].

ცხრილ 3.1-ში გაანალიზებულია თხილის პლანტაციის ხარჯები პირველი წლისთვის. პირველ რიგში უნდა მოხდეს მიწის შესყიდვა. საქართველოში 1 ჰა მიწის ფართობის ფასი დაახლოებით 4,000 ლარია. შესყიდვის შემდეგ საჭიროა ნიადაგის მომზადება, რისთვისაც 1 ჰექტარზე საჭიროა საშუალოდ 1,850 ლარი, აქ შედის ნიადაგის ანალიზი/გამოკვლევა, მისი მოსწორება/გასუფთავება, ხვნა და დადისკვა, შესაბამისი სასუქის შეძენა და შეტანა, ამას გარდა გაითვალისწინება სატრანსპორტო ხარჯებიც. ამის შემდეგ ხდება თხილის ნერგების დარგვა. უკანასკნელი მონაცემებით თხილის საშუალო ფასია 2.00 ლ. რაც შეეხება თხილის ნერგთა განლაგებას ის ბაღში სხვადასხვა შეიძლება იყოს და ძირითადად გლეხზეა დამოკიდებული. მაგალითად, განლაგება ხშირი რწყვის პირობებში 8x8, ურწყავ პირობებში კი 6x6 შეიძლება იყოს. დარგვა შესაძლებელია 4x4 დისტანციითაც. ჩვენს შემთხვევაში კი ნერგებს ვრგავთ 5x4 სისტემით. შესაბამისად დარგვისთვის საჭიროა 1,420 ლარი. საბოლოოდ კი სულ მიწის შესყიდვისა და გაშენების ხარჯები შეადგენს 7435 ლარს. აქ იგულისხმება თხილის ნერგის შეძენა, ორმოს ამოღება, დარგვა და მორწყვა. გაუთვალისწინებელ ხარჯებად ვიღებთ 5%-ს.

ცხრილი 3.1 1 ჰექტარზე თხილის პლანტაციის გაშენების ხარჯები პირველი წლისთვის⁴

#	ჩასატარებელი სამუშაო	ზომის ერთეული	ერთეულის ფასი (ლარი)	რაოდენობა	სულ თანხა (ლარი)
ნიადაგის პირველადი მომზადება					
1	მიწის შესყიდვა	ჰა	4000	1	4000
2	ნიადაგის ანალიზი/გამოკვლევა	ჰა	150	1	150
3	მოსწორება/გასუფთავება	ჰა	300	1	300
4	ნიადაგის ხვნა	ჰა	100	1	300
5	დადისკვა	ჰა	100	2	100
6	სასუქის შეტანა	კგ	1	300	300
7	ორგანული სასუქი	ტ	100	5	500
8	საწვავის ხარჯები				200
9	სულ ნიადაგის მომზადება	ლარი			1850
დარგვა					
10	თხილის ნერგი (5x4)	ცალი	2	500	1000
11	ორმოს ამოღება და ნერგის დარგვა	ცალი	0.5	500	250
12	მორწყვა	ჰა	170	1	170
13	სულ დარგვა	ლარი			1420
14	გაუთვალისწინებელი ხარჯები (5%)	ლარი			165
15	სულ გაშენების ხარჯები	ლარი			7435

ცხრილი 3.2 თხილის ბაღიდან მიღებული შემოსავალი

შემოსავლები	რაოდენობა (ტონა)	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ თანხა ლარი/ჰა
თხილის მოსავალი	2	6000	12000
სულ შემოსავალი			12000

⁴ მონაცემები ეყრდნობა მცირე მეწარმეთა გამოცდილებას, უკანასკნელი წლების საშუალო ფასებს.

თხილის მოსავალი ერთ ჰექტარზე შეადგენს 2 ტონას, კილოგრამის სშუალო ფასია 6 ლარი (ფასი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული თხილის ხარისხზე), შესაბამისად მოსავალი ერთ ჰექტარზე შეადგენს 12,000 ლარი.

ცხრილი 3.3 თხილის ბაღის გაშენების შემდგომ მიღებული მარჟინალური მოგება

№	ტექნოლოგიური პროცესი	რაოდენობა	ერთეული	ერთეულის ფასი	სულ ხარჯი ერთ ჰექტარზე
1	2	3	4	5	
1	ხეების გასხვლა	ჰა	500	0.5	250
2	სხვადასხვა სახის სასუქები	კგ	900	1	900
3	სასუქების შეტანა	ჰა	1	150	150
4	ძირების შემობარვა	ძირი	500	1	500
5	ტრანსპორტირება	ტ	2.5	200	500
6	სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები (მიახლოებით 5%)				115
7	სულ ხარჯების ჯამი				2415
8	მარჟინალური მოგება,ლარი/ჰა-წელი				9585

თხილის ნარგაობის განაშენიანების შემდეგ პლანტაცია მსხმოიარე ხდება 1-4 წლის განმავლობაში. მსხოიარობის პირობებში საჭირო ხდება სხვადასხვა სახის სასუქის გამოყენება, რათა მეტად იქნას ნაყოფი დაცული მავნებელ-დაავადებებისგან. ამასთან მნიშვნელოვანია ხეების გასხვლა, ძირების შემობარვა და სხვადასხვა მოვლითი სამუშაოები, რომელთა ხარჯიც ერთ ჰექტარზე საშუალოდ 2,415 ლარია.

ამგვარად ყოველწლიური მარჟინალური მოგება ერთი ჰექტარი თხილის პლანტაციიდან 9,585 ლარს შეადგენს.


თხილის ბიზნესი საკმაოდ მომგებიანია, თუმცა აუცილებელია მოვლა-მოყვანის წესების გათვალისწინება, რათა ნაყოფი უფრო ხარისხიანი, თხილის ხე კი მეტად პროდუქტიული იყოს. თხილის ნარგაობა ყველაზე პროდუქტიული 20-25 წლის განმავლობაშია, შემდგომ ნაყოფიერების გასახანგრძლივებლად შესაბამისი სამუშაოების ჩატარება ხდება საჭირო. კულტურა საშუალოდ 70-80 წელი ცოცხლობს.

თავი 4. თხილის საერთაშორისო ბაზარი

4.1 საერთაშორისო ბაზრის თხილზე მოთხოვნა

მსოფლიოს თხილის ბაზარი სტაბილური მოხმარებით გამოირჩევა. თხილი მდიდარია E-ვიტამინით, ჯანსაღი ცხიმებით, პროტეინებით, დიეტური საკვები უჯრედისებითა და მრავალი სასარგებლო საკვები ნივთიერებით. გარდა ამისა, გამოირჩევა განსაკუთრებული გემოვნური თვისებებით, ეს ყველაფერი კი მასზე მაღალ მოთხოვნას განაპირობებს.

დიაგრამა 4.1.1 მსოფლიოში წარმოებული ნაჭუჭგაუცლელი თხილის რაოდენობა 2006-2018 წლებში (ტონა)




წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/> [2]

მსოფლიოში ყოველწლიურად საშუალოდ 700,000-1,000,000 ტონა თხილი იწარმოება. 2018 წელს წარმოებულმა თხილმა 863,888 ტონა შეადგინა (იხ. დიაგრამა 4.1.1).

ნაჭუჭგაუცლელი თხილის წარმოებისაში რეგიონული თვალსაზრისით პირველ ადგილზეა აზია, რაც ძირითადად თურქეთის წარმოებითაა განპირობებული, მეორე ადგილს იკავებს ევროპა, მესამე ადგილზეა ჩრდილო და სამხრეთ ამერიკა, მეოთხე ადგილზეა აფრიკის კონტინენტი (იხ. დიაგრამა 4.1.2). აფრიკაში თხილი ძალიან მცირე რაოდენობით გვხვდება (მხოლოდ კამერუნსა და ტუნისში). რაც შეეხება ავსტრალიას, აქ თხილის წარმოება მინიმალურ დონეზეა და ძირითადად შიდა მოხმარებაში გამოიყენება.

დიაგრამა 4.1.2 მსოფლიოში ნაჭუჭგაუცლელი თხილის რეგიონული გამოშვება 2006-2018 წლებში



წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/> [2]

2018 წელს თხილის წარმოების რეგიონული პროცენტული განაწილება შემდეგი სახისაა:


- აზია - 73.44%
- ევროპა - 20.13%
- ჩრდილო და სამხრეთ ამერიკა - 6.41%
- აფრიკა - 0.02%

4.2 თხილის მწარმოებელი უმსხვილესი ქვეყნები

თხილის მსოფლიო ბაზრის უმსხვილესი 10 მონაწილეა: თურქეთი, იტალია, აშშ, აზერბაიჯანი, საქართველო, ჩინეთი, ირანი, ესპანეთი, საფრანგეთი და ჩილე. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თურქეთი პირველ ადგილს, ხოლო იტალია მეორე ადგილს

სტაბილურად ინარჩუნებენ, ათეულის სხვა წევრი ქვეყნების საერთაშორისო ბაზარზე პოზიციონირება კი ვარირებს.

დიაგრამა 4.2.1 მსოფლიოს 10 უმსხვილესი თხილის მწარმოებელი ქვეყნის გამოშვება 2006-2018 წლებში




წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/> [2]

საქართველო, როგორც თხილის მწარმოებელი ქვეყანა წლების განმავლობაში მსოფლიო ქვეყნების პირველ ხუთეულში შედიოდა 2014 და 2015 წლებში მე-3 ადგილსაც

კი იკავებდა (იხ. დიაგრამა 4.2.2 და 4.2.3), თუმცა 2015 წელს, წინა თავებში განხილული პრობლემების გამო, წარმოებული თხილის რაოდენობამაც იკლო.


თურქეთი ბაზრის უდიდეს ნაწილს ფლობს, მისი მინიმალური წარმოება 2006-2018 წლებში 420,000 ტონაა, მაშინ როცა მსოფლიო წარმოების მეორე ადგილზე მყოფი იტალიის მაქსიმალური წარმოება 142,109 ტონაა. ეს თურქეთს თხილის მსოფლიო ბაზარზე დიდ ძალაუფლებას ანიჭებს.

დიაგრამა 4.2.2 თხილის მწარმოებელი 10 უმსხვილესი ქვეყანა 2014 წელს



წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/> [2]


დიაგრამა 4.2.3 თხილის მწარმოებელი 10 უმსხვილესი ქვეყანა 2015 წელს



წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/> [2]

2015 წელს გამოჩენლმა ფაროსანამ, ასევე ისეთმა პრობლემებმა, როგორცაა თხილის სოკო, ათეულში საქართველოს პოზიციონირების დაქვეითება გამოიწვია. მაშინ როცა 2014-2015 წლებში საქართველო მე-3 ადგილს იკავებდა, 2016 წელს მე-5, 2017 წელს კი მე-6 ადგილზე გადაინაცვლა. 2016 წელს ექსპორტირებულ ქართულ გადამამუშავებულ თხილში არაქისი აღმოაჩინეს (აღნიშნული საკითხი დეტალურად განხილულია მე-5 თავში), რამაც საქართველოს რეპუტაციას ძალიან დიდი საფრთხე შეუქმნა. 2018 წელსაც საქართველოს წინა წლის მაჩვენებელი იქნა შენარჩუნებული (იხ. დიაგრამა 4.2.2-4.2.6).

დიაგრამა 4.2.4 თხილის მწარმოებელი 10 უმსხვილესი ქვეყანა 2016 წელს




წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/> [2]

2016 წელს აშშ-მ მე-5 ადგილიდან მე-3 ადგილზე გადაინაცვლა, წარმოებაც 28,123 ტონიდან 39,916 ტონამდე გაზარდა. წარმოების ზრდას ჰქონდა ადგილი იტალიისა და ჩილეს შემთხვევაშიც. პოზიციურად წინ გადაინაცვლეს შემდეგმა ქვეყნებმა: აშშ-მ და ესპანეთმა.

2017 წელს თურქეთის თხილის წარმოებამ წინა წელთან შედარებით 60.7%-იანი ზრდა აჩვენა (420,000 ტონიდან 675,000 ტონამდე), იტალიამ 8.9%-იანი (120,572 ტონიდან 131,281 ტონამდე), აზერბაიჯანს კი 32,9%-იანი ზრდა ჰქონდა (34,271 ტონიდან 45,530 ტონამდე).


დიაგრამა 4.2.5 თხილის მწარმოებელი 10 უმსხვილესი ქვეყანა 2017 წელს



წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/> [2]

2018 წელი თხილის წარმოების კუთხით ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა აშშ-ისთვის, რომელსაც წინა წელთან შედარებით თხილის წარმოების 59.4%-იანი ზრდა ჰქონდა, საფრანგეთს, რომლის თხილის წარმოებაც 34.9%-ით იმატა და აზერბაიჯანს, რომელმაც 14.4%-იანი ზრდა აჩვენა, იტალიამ და ჩინეთმა კი 1.1%-იანი. ირანმა თხილის წარმოება 0.8%-ით, ჩილემ კი მხოლოდ 0.2%-ით გაზარდა.

დიაგრამა 4.2.6 თხილის მწარმოებელი 10 უმსხვილესი ქვეყანა 2018 წელს



წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/> [2]

2018 წელს 2017 წელთან შედარებით თხილის წარმოება მნიშვნელოვნად შემცირეს შემდეგმა ქვეყნებმა: თურქეთი (23.7%), ესპანეთი (23.4%), საქართველო (20.6%).

4.2.1 თურქეთის თხილის ბაზარი

მსოფლიოში ყოველწლიურად წარმოებული თხილის საშუალოდ 70%-ს თურქეთი ქმნის და ათწლეულებია ის ამ პოზიციას არ თმობს. პოზიციის შენარჩუნებაში კი დიდ როლს ასრულებს თხილის მაღალი ხარისხი.

შავი ზღვის მხარეს თურქეთის ჩრდილოეთ ნაწილში თხილის წარმოებას 2300 წლიანი ისტორია გააჩნია, ხოლო მისი ექსპორტი დაახლოებით 6 საუკუნეს ითვლის. თხილის ბალები თურქეთში შავი ზღვის სანაპიროდან დაახლოებით 30 კმ-ის დაშორებით მდებარეობს და მათი საერთო ფართობი 550-600 ათას ჰექტარს შეადგენს. დაახლოებით 4 მლნ ადამიანი პირდაპირ თუ არაპირდაპირი გზით დაკავშირებულია თხილის წარმოებასთან.


თურქულ თხილს ორ სახეობად ყოფენ: გირესუნის ხარისხი და ლევანთ ხარისხი.

გირესუნის ხარისხის თხილი ეს არის მრგვალი ფორმის, რომელიც იზრდება გირესუნის პროვინციასა და ტრაპიზონის გარკვეულ მიდამოებში. გირესუნის თხილი მსოფლიოში უმაღლესი ხარისხის თხილს წარმოადგენს. თურქეთში წარმოებულ ყველა დანარჩენ თხილს, რომელიც არ წარმოადგენს გირესუნის ხარისხის თხილს, ეწოდება ლევანთის თხილი. იგი მსოფლიოში წარმოებულ სხვა თხილებთან შედარებით გაცილებით უკეთესია გემოვნური თვისებების მიხედვით, თუმცა შეიცავს ნაკლებ ცხიმებს ვიდრე გირესუნის ხარისხის თხილი.

თურქეთში თხილის მოსავალს აგვისტოს თვეში იღებენ. შეგროვების ერთ-ერთი მეთოდია თხილის ხის შერხევის შედეგად ჩამოცვნილი ფოთლებისა და ნაყოფის შეგროვება. სხვა მეთოდის მიხედვით თხილის ნაყოფს სათითაოდ იღებენ ტოტებიდან. ამის შემდეგ გაშლილს აწყობენ მზის გულზე სანამ ფოთლები არ გაყავისფრდება. გაშრობის შემდეგ ნაყოფსა და ფოთლებს აცალკევენ სპეციალური მოწყობილობის დახმარებით და შემდეგ ყვლავ აწყობენ მზეზე გასაშრობად. გაშრობის მთლიანი პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 15-20 დღეს (დამოკიდებულია ამინდზე). მზეზე

გაშრობა მნიშვნელოვანი ნაწილი, ვინაიდან სწორედ ეს აძლევს თურქულ თხილს განსაკუთრებულ გემოს [20].

დიაგრამა 4.2.7 თურქეთში წარმოებული თხილის რაოდენობა 2006-2018 წლებში



წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/> [2]

უკანასკნელი 15 წლის მონაცემების მიხედვით, თურქეთის მიერ წარმოებული თხილის ყოველწლიური რაოდენობა საშუალოდ ვარიირებს 420 ათას ტონასა და 800 ათას ტონას შორის. წარმოების ყველაზე მაღალ მაჩვენებელს ჰქონდა ადგილი, რაც მსოფლიოს მიერ მთლიანი გამოშვების 61,6%-ს უდრიდა (იხ. დიაგრამა 4.2.7).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ 2014 წელს თურქეთში თხილის წარმოება საგრძნობლად შემცირდა, ამის მიზეზი კლიმატური ცვლილებები იყო. თხილი სეტყვებმა გაანადგურა. ამან დიდი ზეგავლენა მოახდინა თხილის მსოფლიო ფასზეც, თურქეთში თხილის შემცირებამ მასზე ფასის ზრდა გამოიწვია, ვინაიდან, თურქეთი, როგორც თხილის უმსხვილესი მწარმოებელი, ფასის კარნახის უფლებით სარგებლობს.

4.2.2 იტალიის თხილის ბაზარი


იტალიაში თხილის ყველაზე გავრცელებულ ჯიშებს წარმოადგენს:

- გიფონის თხილი (*Nocciola di Giffoni*) - სახელი მომდინარეობს გიფონი ვალე პიანას ხეობიდან (*Giffoni Valle Piana*). იმის მიუხედავად, რომ თხილი ძირითადად გამოიყენება ადგილობრივი კერძების მოსამზადებლად, გიფონის თხილისგან

ხშირად ამზადებენ ტკბილ წასახემსებლებსაც. იგი ასევე გამოიყენება ცომეულის, ნაყინისა და ლიქიორის მოსამზადებლადაც.

- რომაული თხილი (*Nocciola Romana*) - ტრადიციულად იწარმოება ვიტერბოსა და რომის მიმდებარე პროვინციაში. გარდა იმისა, რომ ის არის ხრამუნა და გააჩნია განსაკუთრებული არომატი, თხილი გაჯერებულია ცხიმებით, კალორიებითა და E და K ვიტამინებით. იგი გამოიყენება ადგილობრივი დესერტების მომზადებისას.
- პიემონტის თხილი (*Nocciola del Piemonte*) - სახელი მომდინარეობს წარმოშობის ადგილიდან, იგი იზრდება მონფერატოს მთებში და იწარმოება ალექსანდრიის, ასტის, კუნეოს, ტურინის, ნოვარას, ბიელასა და ვერცელის პროვინციებში. იგი ითვლება საკონდინტრო ინდუსტრიის ერთ-ერთ საუკეთესო თხილად. ის არის ხრამუნა და გააჩნია გასაოცარი არომატი, განსაკუთრებით მოხლის დროს. მას ფართოდ იყენებენ ნამცხვრების, ნაყინებისა და ალკოჰოლის მომზადებაში [38].

დიაგრამა 4.2.8 იტალიაში წარმოებული თხილის რაოდენობა 2006-2018 წლებში



წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/> [2]

დიაგრამა 4.2.8-ზე ვხედავთ, რომ 2006 წლიდან მოყოლებული იტალიას გამოშვების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სწორედ 2006 წელს ჰქონდა. შემდგომ წლებში გამოშვების ყოველწლიურ კლებას ჰქონდა ადგილი 2011 წლამდე, აღნიშნულ წელს იტალიაში თხილის წარმოებამ სწრაფი ზრდა განიცადა და 128,940 ტონას მიაღწია. 2014 წელს გამოშვებამ უკანასკნელი 14 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი ნიშნული აჩვენა, წარმოების რაოდენობა იყო 75,456 ტონა. 2015 წლიდან კი იტალიური თხილის


გამომწვევა სტაბილურ ზრდას იწყებს, უკვე 2018 წელს იტალიის მიერ წარმოებული თხილის რაოდენობა 132,699 ტონა იყო.

4.2.3 აშშ-ის თხილის ბაზარი

აშშ თხილის მწარმოებელ წამყვან ქვეყანათა ხუთეულში შედის. აშშ-ში ძირითადად იწარმოება 2 სახეობის თხილი, ესენია: ამერიკული (*Corylus americana*) და რქოსანი (*Corylus cornuta*) [29]. ორივე სახეობა შედარებით მცირე ზომისაა, თუმცა გემოვნური თვისებებით თურქეთში წარმოებულ თხილს არ ჩამოუვარდება.

აშშ-ის მიერ გამოშვებული თხილის რაოდენობა 2018 წელს 2017 წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა და მან 46,270 ტონა შეადგინა, რაც უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (იხ. დიაგრამა 4.2.9).

დიაგრამა 4.2.9 აშშ-ში წარმოებული თხილის რაოდენობა 2006-2018 წწ




წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/> [2]

თხილს უძველეს დროში ამერიკელი ინდიელები კერძების შესაკმაზად იყენებდნენ. დღეს დღეისობით აშშ თავისი თხილის მოსავლის ნაწილს ექსპორტისკენ მიმართავს, დანარჩენს კი ძირითადად საკონდიტრო წარმოებაში იყენებს აშშ-ს თხილის 99% ორეგონის ვილემენტის ველზე მოყავს.

4.2.4 აზერბაიჯანის თხილის ბაზარი

აზერბაიჯანის მდებარეობა და კლიმატი კარგ შესაძლებლობას იძლევა თხილის წარმოებისთვის. ქვეყანა თხილის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ექსპორტიორად ითვლება, მას თხილი მსოფლიოს 25 ქვეყანაში გააქვს. აზერბაიჯანში კულტივირებული თხილის ჯიშებია: ალთაბაბა, აშრაფლი, გალიბი, განჯა, საჩადლი, ტოპგარა, იაღლი და სხვ [31].

დიაგრამა 4.2.10 აზერბაიჯანში წარმოებული თხილის რაოდენობა 2006-2018 წლებში



წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/> [2]


აზერბაიჯანი გამოირჩევა თხილის წარმოების ნელი, თუმცა სტაბილური ყოველწლიური ზრდით. 2016 წლიდან 2018 წლამდე კი გამოშვებამ საკმაოდ სწრაფი ზრდა განიცადა და 2018 წელს 52,067 ტონა შეადგინა, მაშინ, როცა ჯერ კიდევ 2016 წელს ის 34,271 ტონას შეადგენდა. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში აზერბაიჯანის მიერ თხილის გამოშვების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2006 წელს ფიქსირდება (24,625 ტონა), ხოლო ყველაზე მაღალი - 2018 წელს (იხ. დიაგრამა 4.2.10).

4.2.5 ჩინეთის თხილის ბაზარი

თხილის წარმოებას ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი გააჩნია ჩინეთისთვის, როგორც ეკონომიკური, ისე ეკოლოგიური თვალსაზრისით. ამჟამად ჩინეთის მხოლოდ ჩრდილო აღმოსავლეთში 4 მლნ აკრის თხილის ბაღებია გაშენებული. ტყის თხილი (*Corylus*), რომელიც მდიდარია უჯერი ცხიმებითა და ვიტამინებით, ფართოდ გამოიყენება. მის ფოთლებს ადგილობრივი ფერმერები აბრეშუმის ჭიის

გამოსაკვებად იყენებენ. კორილუსი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნიადაგისა და წყლის შენარჩუნებაში მისი ძლიერი ფესვთა სისტემის გამო და ხელს უწყობს ამ რეგიონში ტყეების მდგრადობას.

დიაგრამა 4.2.11 ჩინეთში წარმოებული თხილის რაოდენობა 2006-2018 წლებში



წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/> [2]

ჩინეთი წარმოებული თხილის რაოდენობას ყოველწლიურად სტაბილურად ზრდის. 2018 წელს ჩინეთის მიერ გამოშვებულმა ნაჭუჭგაუცლელმა თხილმა 24790 ტონა შეადგინა (იხ. დიაგრამა 4.2.11).

კორილუსის სხვადასხვა ჯიშები ასევე წარმოადგენენ ტაქსოლის ერთ-ერთ წყაროს, რომელიც ფართოდ გამოიყენება კიბოს საწინააღმდეგო ძვირადღირებული მედიკამენტის დასამზადებლად. თაქსოლი ტრადიციულად მოიპოვება ურთხელისგან, თუმცა იგი უკვე გადაშენების პირას მყოფი მცენარეა, ამიტომაც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი კორილუსისადმი [25].


4.2.6 ირანის თხილის ბაზარი

ირანი მრავალი წელია თხილის მწარმოებელ ქვეყანათა პირველ ათეულში შედის. ირანში კულტივირებული თხილის ჯიშებია:

- კომერციული გამოყენებისთვის: ბარსელონა, საგორბე, მერვილი და დავიანა;
- ადგილობრივი ჯიშები: პაშმინი, რასმი, შასტაკი, ტაბესტანი;

- ნაკლებად ცნობილი და ნაკლებად გამოყენებადი ჯიშები: ნემსა, პრუნისი, ქრისტიანული და პროსტორიკა [15].

დიაგრამა 4.2.12 ირანში წარმოებული თხილის რაოდენობა 2006-2018 წლებში




წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/> [2]

ირანის მიერ თხილის გამოშვება საკმაო სტაბილურობით ხასიათდება და სასუალოდ 16,000-20,000 ტონას უდრის, ერთადერთი მნიშვნელოვანი ჩავარდნა ქვეყანას 2014 წელს ჰქონდა, როდესაც წარმოებული თხილის რაოდენობამ 10,098 ტონა შეადგინა. 2018 წელს თხილის გამოშვება 15,839 ტონა იყო (იხ. დიაგრამა 4.2.12).

4.2.7 ესპანეთის თხილის ბაზარი

კატალონია თხილის ყველაზე მსხვილი მწარმოებელი რეგიონია ესპანეთში. ქვეყანაში წარმოებული თხილის 90% ტარაგონას პროვინციას მიეკუთვნება. ტარაგონას ბაღები ტოპოგრაფიულად შეიძლება დავეყოთ ორ ჯგუფად: პირველი, პროვინციის შიდა მთის მწვერვალების ბაღები (პრიორიტი). ისინი მდებარეობს მთიანი ფერდობებზე, ახასიათებს მექანიზაციის დაბალი დონე, მშრალი მეურნეობა (წლიური წვიმის 400 მმ) და დაბალი წარმოება (500-800 კგ/ჰა). მეორე, რეგიონის ვრცელი ბაღები, რომელსაც უწოდებენ ტარაგონას ბანაკს (Camp de Tarragona), მდებარეობს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს მახლობლად და ძალზე მექანიზებულია მაღალი წარმოების (2 000-2 500 კგ/ჰა) და კულტივირების თანამედროვე ტექნიკით. თხილის ძირითადი კომერციული წარმოება მიიღება სწორედ ტარაგონას ბანაკიდან.

დიაგრამა 4.2.13 ესპანეთში წარმოებული თხილის რაოდენობა 2006-2018 წლებში



წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/>

ესპანეთის მიერ წარმოებული თხილის რაოდენობა 2006 წელს მსოფლიოს მასშტაბით მე-4 ადგილზე იყო, თუმცა 2011 წლიდან ქვეყნის მიერ წარმოებული თხილის რაოდენობა სტაბილურად კლებულობს (იხ. დიაგრამა 4.2.13), 2018 წლის გამოშვება 2006 წელთან შედარებით 3-ჯერ არის შემცირებული ამიტომაც ქვეყნის პოზიცია მსოფლიოს ქვეყანათა შორის მე-10 ადგილამდე დაეცა (იხ. დიაგრამა 4.2.6).


ესპანეთში ყველაზე მნიშვნელოვანი ჯიშები ადგილობრივია, მაგალითად ყველაზე გავრცელებული ჯიშია ნეგრეტი (Negret), რომელიც თხილის ესპანური წარმოების 70%-ს შეადგენს. ასევე გავრცელებული ჯიშებია: ჟირონელი (Gironell), პაუტეტი (Pauetet), კულპლა (Culplà), მორელი (Morell), გრიფოლი (Grifoll), ტრენეტი (Trenet) და რიბეტი (Ribet) [19].

ესპანეთში წარმოებული თხილის დიდი ნაწილი შიდა წარმოებაში მოიხმარება. თხილს ძირითადად მოიხმარენ საკვებ ინდუსტრიაში საკონდიტრო წარმოებისთვის, წასახემსებელი სასუსნავეების დასამზადებლად და მოხალული თხილი დაფასოებული სახით.

4.2.8 საფრანგეთის თხილის ბაზარი

საფრანგეთში წარმოებული თხილის ჯიშებია: ენისის თხილი, რომელიც საფრანგეთში წარმოებული თხილის 26%-ს შეადგენს, კორსიკული თხილი - 22%, სეგორბე - 16%, კორაბელი - 12%, პოეტე - 8% [19].

დიაგრამა 4.2.14 საფრანგეთში წარმოებული თხილის რაოდენობა 2006-2018 წლებში



წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/> [2]


საფრანგეთში თხილის წარმოებას არც ისე დიდი ისტორია გააჩნია თუმცა იგი მზარდი ტემპით იზრდება. საფრანგეთის თხილის წარმოების მრუდს აღმავალი ტენდენცია სახე აქვს (იხ. დიაგრამა 4.2.14). წარმოებული თხილის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და უკვე 2018 წელს 2006-2018 წლებში ქვეყნის ყველაზე მაღალი მაჩვენებელს მიაღწია და 14,988 ტონა შეადგინა. საფრანგეთი თხილის მწარმოებელ ქვეყანათა ათეულში ჩვეულებისამებრ მე-8 ადგილს იკავებს.

4.2.9 ჩილეს თხილის ბაზარი

სამხრეთ ამერიკაში ჩილე თხილის უმსხვილესი მწარმოებელი ქვეყანაა. წარმოებული თხილის ექსპორტი ძირითადად ხდება ევროპასა და აშშ-ში. ჩილეში თხილის მოყვანის ისტორია მე-19 საუკუნიდან იწყება გერმანელი, იტალიელი და შვეიცარელი იმიგრანტების მიერ. თუმცა მსხვილი წარმოება 2000 წლის შემდეგ დაიწყო. თხილის მოყვანა ხდება ჩილეს ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებში. ჩილეში თხილის

კულტივირება ძირითადად ორ ჯიშს ეფუძნება: ჩილეური ბარსელონა (Chilean Barcelona) და ცნობილი იტალიური ჯიში - გიფონის მრგვალი (Tonda di Giffoni) [34].

დიაგრამა 4.2.15 ჩილეში წარმოებული თხილის რაოდენობა 2006-2018 წლებში



წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/> [2]

2006 წლიდან მოყოლებული ჩილეში თხილის წარმოებამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა და 400 ტონიდან 2018 წელს უკვე 9,019 ტონას მიაღწია, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. 2016 წლიდან წარმოება საკმაოდ სტაბილურ ნიშნულზეა (იხ. დიაგრამა 4.2.15).

თავი 5. ქართული თხილის პრობლემები და მისი დაძლევის გზები

საქართველოში თხილის წარმოებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა მავნებელი ხოჭო - ფაროსანას გავრცელება აღმოჩნდა. აზიური ფაროსანა პირველად 2015 წელს გამოჩნდა და გაანადგურა თხილის მოსავლის უდიდესი ნაწილი.

იმისათვის, რომ თავიდან აცილებულ იქნას ფაროსანას მიერ მიყენებული ზიანი, მის წინააღმეგ ბრძოლა უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად: ცნობილია, რომ თხილს ფოთლები გვიანობამდე არ სცვივა. სრულად ჩამოცვენის შემდეგ, მეურნემ კიდევ ერთხელ უნდა მოფოცხოს პლანტაციები და აუცილებლად დაწვას. ასევე აუცილებელია, რომ ბოლო გროვაც კი ბოლომდე დაიწვას, რადგან ფაროსანა სახლებისა და სხვა ნაგებობების გარდა სწორედ ასეთ გროვებში იზამთრებს, შესაბამისად ფერმერმა უარი უნდა თქვას ფოთლების გროვებისაგან წარმოქმნილ ნემომპალაზე, რომელიც საკმაოდ კარგი არაორგანული სასუქია.

უკანასკნელ ბერიოდში ქართულ თხილს გარკვეული პრობლემები შეექმნა ევროკავშირის ბაზარზე, ამას მთავარი მიზეზი თხილის დაავადებათა აფეთქება იყო, რომელიც საქართველოში 2017-2018 წლებში მოხდა. ეს გამოიწვია სოკოების განვითარება-გავრცელებისთვის ხელსაყრელმა პირობებმა და ფიტოსანიტარული ღონისძიებების ჩაუტარებლობამ.

თხილში აფლატოქსინის მაჩვენებლის აღმოჩენა მნიშვნელოვანი პრობლემაა და საერთაშორისო ბაზარზე მსგავსი თხილის მოხვედრის თავიდან ასატიდებლად მთლიანი პარტიის განადგურების აუცილებლობას ქმნის. იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირის საზღვარზე თხილში მაინც აღმოჩნდება აფლატოქსინი, პარტია ბრუნდება უკან. თხილს საზღვარზე დახვდება სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი, შეამოწმებს ტვირთს, დალუქავს მას და აცილებს დაცულ საწყობამდე, სადაც ხელმეორედ მოხდება მისი დალუქვა. დალუქული თხილი კი კვლავ შემოწმდება აფლატოქსინის შემცველობაზე. თუ თხილში დადასტურდება აფლატოქსინის შემცველობა, სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლების კონტროლის ქვეშ უნდა მოხდეს მისი გადარჩევა და გასუფთავება საექვო თხილის გულისაგან. გადარჩევის შემდეგ,

პროდუქცია განმეორებით მოწმდება ევროპულ ლაბორატორიებშიც. იმ შემთხვევაში თუ აფლატოქსინი აღარ აღმოჩნდა, მეწარმეს ეძლევა უფლება, განმეორებით გაიტანოს თხილი ექსპორტზე. წუნდებული თხილი კი მოგვიანებით განადგურდება. საზღვარგარეთიდან ქართული თხილის უკან დაბრუნების რამოდენიმე შემთხვევა უკვე არის დაფიქსირებული [33].

დღევანდელი მდგომარეობით, ფაროსანასთან ბრძოლა გაცილებით პერსპექტიული და წარმატებულია, ვიდრე კიბოს გამომწვევ სოკოსთან. მასთან საბრძოლველად უნდა მოხდეს შეწამვლა. წლის განმავლობაში 4-5-ჯერ შეწამვლა დაახლოებით 30-40% მოსავალს გადაარჩენს, თუმცა ეს გარკვეულ თანხებთანაცაა დაკავშირებული. ზემოხსენებული პრობლემები, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენენ თხილის ფასზეც.

კიდევ ერთი პრობლემა, რომლის წინაშეც ქართული თხილის წარმოება დადგა, არის თხილის კვირტის ტკიპა. ეს მავნებელი კულტურას ყოველთვის აზიანებდა, მაგრამ თხილის საკარმიდამო ნაკვეთებზე მცირე რაოდენობით მოყვანისას, მავნებლის მიერ მიყენებული ზარალი ლოკალურა, მისი ფართო მასშტაბით გავრცელების საშიშროებაც არ არსებობს, თუმცა დღევანდელ პირობებში, როდესაც თხილი სამრეწველო ნარგაობებადაა გაშენებული, ეს საშიშროება გაიზარდა და პრევენციული ღონისძიებების გატარებაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ფერმერებისთვის აუნაზღაურებელი ზარალის მიყენება შეუძლია. აღნიშნულ პრობლემის აღმოსაფხვრელად ძალზედ მნიშვნელოვანია, ადრე გაზაფხულზე მოზამთრე ტკიპების მიერ დაზიანებული, დეფორმირებული, გაწითლებული კვირტები მოშორდეს და დაწვას [12].

დიდ პრობლემას უქმნის ქართულ თხილს მავნებელი - ამბროზიის ხოჭოც. თუ ფერმერი შეამჩნევს თხილში მთლიანად გამხმარ მცენარის შტამბებს, ყველა უნდა მოიჭრას, რადგან ეს ამბროზიის ხოჭოზე მიუთითებს. როდესაც ფერმერი ტოტებისა და სხვადასხვა ნასხლავების გატანასა და დაწვას მორჩება, სათხილე ადგილი კარგად უნდა მოიფოცხოს და უნდა დაიწვას. ამის შემდეგ, თხილის ფოთლების დაცვენამდე უნდა მოხდეს ფუნგიციდების შესხურება. ეს კარგად მოქმედებს სოკოვანი დაავადებების, ბაქტერიული სიდამწვრისა და სხვა ბაქტერიული დაავადებების წინააღმდეგ [23]. ფუნგიციდების გამოყენებისათვის ყველა მეურნემ უნდა მიაკითხოს სასოფლო-

სამეურნეო მაღაზიებს, სადაც მიიღებენ საჭირო და ეფექტურ რჩევებს, ასევე შეძლებენ შესაბამისი პრეპარატებით აღჭურვასა და რჩევების მიღებას თუ როგორ გამოიყენონ ესა თუ ის შეასაწამლი საშუალება.

დიდ პრობლემას ქმნის ის ფაქტიც, რომ გლეხების დიდმა ნაწილმა ბოლო ოცი წლის მანძილზე, რაც თხილი წამყვან კულტურად იქცა, საჭიროდ არ ჩათვალა მისი შეწამვლა ან ნიადაგის განაყოფიერება. ძირითად საქმედ ითვლებოდა პლანტაციების გაცეცხვა და ზერელე გამოჭრა, რაც მნიშვნელოვან ეფექტს არ იძლევა თხილის მოვლა-განვითარებაში, ამ ყველაფერმა კი თხილის წარმოება არსებულ მდგომარეობამდე მიიყვანა.

გარდა ზემოხსენებული პრობლემებისა, 2016 წელს ძალზედ ცუდი ფაქტი დაფიქსირდა, გერმანიაში ექსპორტზე გატანილ ქართულ თხილში მიწის თხილის აღმოაჩინეს. ამ ფაქტმა თხილის ექსპორტზე უარყოფითად იმოქმედა: ევროპის ბაზარზე ქართული თხილის ფასი მნიშვნელოვნად დაეცა. გერმანიამ მთელი ევროკავშირის უსაფრთხოების სისტემა გააფრთხილა, რომ მათ თავიანთ ქვეყანაში აღმოაჩინეს არადეკლარირებული ქართული თხილი, რომელშიც მიწის თხილი იყო შერეული. ამას ისიც დაერთო, რომ 10 წლის ბავშვს, რომელმაც აღნიშნული თხილისგან დამზადებული პროდუქტი მიიღო, მიწის თხილზე ალერგიული ფონი გამოუმჟღავნა და მის ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნა, ამიტომაც სერიოზული მკურნალობა დასჭირდა [32]. ამ ფაქტმა ძალიან დიდი ხმაური გამოიწვია და ცუდად იმოქმედა არა მარტო ქართული თხილის საექსპორტო ფასსა და რაოდენობაზე, არამედ ზოგადად, საქართველოს რეპუტაციაზე.

პრობლემები ქართული თხილის წარმოების ბაზარზე, ცხადია, მრავლადაა, თუმცა ის ნაბიჯები, რომელთა გადადგმაც დღესდღეისობით მიმდინარეობს, სიტუაციას გაცილებით ოპტიმისტურს ხდის.

თავი 6. ქართული თხილის ექსპორტი

6.1 ქართული თხილის ექსპორტის დინამიკა და ანალიზი

ქართულ საექსპორტო ათეულში, ტრადიციულად, მძიმე მრეწველობა ლიდერობს. მოწინავე პოზიციებს ასევე იკავებს თხილი და ღვინო. ქართული თხილის მსოფლიო ბაზარზე წარმატებული პოზიციონირება ძალზედ მნიშვნელოვანია, ამიტომ საჭიროა ამ პოზიციის შენარჩუნება და ქართული თხილის კონკურენტუნარიანობის ზრდისა და კარგი რეპუტაციის შენარჩუნების ხელშეწყობა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის პორტალის მონაცემების თანახმად 2019 წელს საქართველოში წარმოებული პროდუქციის მთლიანი ექსპორტის ღირებულებამ 2,332,546,500 აშშ დოლარი შეადგინა, ქართული თხილის (ნაჭუჭყაუცლელი და ნაჭუჭყაცლელი) ექსპორტის ღირებულება კი 63,342,600 აშშ დოლარი იყო, ეს 2,7%-იან წილს გულისხმობს.


მნიშვნელოვანია ასევე ერთმანეთს შევადაროთ საქართველოში წარმოებული მთლიანი ექსპორტისა და საქართველოში წარმოებული თხილის ექსპორტის 2019 წლისა და 2020 წლის ანალოგიური პერიოდების ღირებულებები. 2019 წლის პირველ ოთხ თვეში საქართველოს მთლიანი ადგილობრივი ექსპორტი შეადგენდა 733,971,800 აშშ დოლარს, საქართველოში წარმოებული თხილის ექსპორტი კი 11,389,100 აშშ დოლარს, წილი 1.6%-ია; მიმდინარე 2020 წლის მონაცემებით ადგილობრივი ექსპორტის ღირებულება 712,999,400 აშშ დოლარია, ქართული თხილის ექსპორტის ღირებულებამ კი 14,689,600 აშშ დოლარი შეადგინა, შესაბამისად, თხილის ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში მიახლოებით 2.1%-ის ტოლია. ამ შემთხვევაშიც წლევანდელ წელს გასულ წელთან შედარებით წილის ზრდას აქვს ადგილი.

ქართული თხილის საერთაშორისო წარმატების დასტურია ისიც, რომ 2021 წელს თხილის მსოფლიო კონგრესის ჩატარება სწორედ საქართველოში იგეგმება. კონგრესს უნდა დაესწროს 100 დელეგატი მსოფლიოს 75 ქვეყნიდან, ისინი 3 დღის განმავლობაში კულტურულ და ტურისტულ ღონისძიებებს დაესწრებიან [22].

როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, მსოფლიოში წარმოებული თხილის 70%-ს თურქეთი აწარმოებს, ამდენად, თხილის საერთაშორისო ფასიც მნიშვნელოვანწილად თურქეთში მოსავლის რაოდენობის და ხარისხით განისაზღვრება.

ჩვეულებისამებრ ქვეყნები უფრო მეტი ნაჭუჭგაცლილი (გადამუშავებული) თხილის ექსპორტს ახდენენ, ვიდრე ნაჭუჭიანისას (გადაუმუშავებელი), არც საქართველოა გამონაკლისი, ჩვენი თხილის უდიდესი ნაწილიც ნაჭუჭგაუცლელი სახით გადის ექსპორტზე.

დიაგრამა 6.1.1 საქართველოს მიერ განხორციელებილი თხილის ექსპორტის რაოდენობა 2010-2020⁵ წლებში



წყარო: საგარეო ვაჭრობის პორტალი <http://ex-trade.geostat.ge/ka> [7]


დიაგრამა 6.1.1-ზე თვალნათლივ ვხედავთ, რომ ქართული თხილის ყოველწლიური საექსპორტო მაჩვენებლები საკმაოდ არასტაბილურად გამოიყურება. არის აღმავლობის ფაზებიც, თუმცა უკანასკნელ პერიოდში 2016 წლის შემდგომ შეინიშნება ექსპორტის მკვეთრი შემცირება. 2017 წელს ექსპორტის მოცულობა თითქმის განახევრდა - 25,309 ტონიდან 13,365.4 ტონამდე დაეცა. მცირე ზრდას ჰქონდა ადგილი 2019 წელს, წინა წელთან შედარებით თხილის ექსპორტი 157.8 ტონით გაიზარდა.

6.1.1 და 6.1.2 დიაგრამების ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული თხილის ექსპორტის აღმავლობის პერიოდს ძირითადად 2013-2016 წლები მოიცავს; თხილის ექსპორტის ღირებულება 2012 წლის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა. 2012 წელს ექსპორტირებულმა ნაჭუჭგაცლილმა ქართულმა თხილმა 78,963.3 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო უკვე 2013 წელს ექსპორტის ღირებულებამ 160,922.1 ათას აშშ დოლარს

⁵ 2020 წელს არასრული (პირველი ოთხი თვის) სტატისტიკური მონაცემები

მიადწია. 2013 წელს საქართველოს მიერ განხორციელებულმა ექსპორტის რაოდენობამ 2010-2020 წლებში ყველაზე მაღალ ნიშნულს მიადწია და ნაჭუჭგაცლილი თხილის მოცულობამ 27,631.4 ტონა, ხოლო ნაჭუჭგაუცლელის მოცულობამ 2,526 ტონა შეადგინა. ასევე საკმაოდ დიდი მოცულობის ექსპორტს ჰქონდა ადგილი 2016 წელსაც 25,309 ტონის ოდენობით.

დიაგრამა 6.1.2 საქართველოს მიერ განხორციელებილი თხილის ექსპორტის ღირებულება 2010-2020⁶ წლებში




წყარო: საგარეო ვაჭრობის პორტალი <http://ex-trade.geostat.ge/ka> [7]

2017 წელს მსოფლიოს ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტიორ ქვეყანათა ხუთეულში პირველ ადგილს თურქეთი იკავებს, მისი ექსპორტის რაოდენობა 159,779 ტონა იყო (იხ. დიაგრამა 6.1.3); მეორე ადგილზეა იტალია, რომლის ექსპორტის რაოდენობამაც 27,916 ტონა შეადგინა; აზერბაიჯანი იკავებს მესამე ადგილს ექსპორტირებული 16,295 ტონა ნაჭუჭგაცლილი თხილით; მეოთხე ადგილზეა საქართველო, ჩვენი ქვეყნის მიერ ექსპორტირებულმა თხილის რაოდენობამ 13,851 ტონა შეადგინა; რაც შეეხება მეხუთე ადგილს, მას იკავებს ჩილე 81,40 ტონა თხილით.

დიაგრამა 6.1.3 მსოფლიოს ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტიორ ქვეყანათა ხუთეული 2017 წელს


⁶ 2020 წელს არასრული (პირველი ოთხი თვის) სტატისტიკური მონაცემები



წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/> [2]

2017 წელს ნაჭუჭგაუცლელი თხილის ექსპორტიორ ქვეყანათა შორის მოწინავე იყო აშშ (24,199 ტონა), საფრანგეთი (2,645 ტონა), ჩინეთი (2,364), ჯონგ-კონგი, ჩინეთი (2,353 ტონა) და საქართველო (1,268 ტონა).

დიაგრამა 6.1.4 მსოფლიოს ნაჭუჭგაუცლელი თხილის საექსპორტო ქვეყანათა ხუთეული 2017 წელს




წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/> [2]

დიაგრამა 6.1.5-ზე გამოსახულია საქართველოს მიერ ექსპორტირებული ნაჭუჭგაცლილი და ნაჭუჭგაუცლელი თხილის ექსპორტის საშუალო ღირებულება 2010-

2020 წლებში, რომელიც გამოანგარიშებულია ექსპორტირებული თხილის ღირებულების მის მოცულობზე გაყოფით.

ადვილი დასანახია, რომ 2014-2015 წლებში ქართული ნაჭუჭგაცლილი და ნაჭუჭგაუცლელი თხილის ექსპორტის საშუალო ღირებულება უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ყველაზე მაღალ ნიშნულზე - შესაბამისად 9.45 და 4.25 აშშ დოლარი. უკვე 2015 წლის შემდეგ ფასი საგრძნობლად ეცემა. 2016 წლის თხილის მცირე ფასი დიდწილად განაპირობა მავნებელთა მიერ მიყენებულმა ზარალმა, ხოლო 2017 წელს ფასის კიდევ უფრო შემცირება ქართველი მეწარმეების მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქცევების გამო რეპუტაციის დაკარგვასაც უნდა მივაწეროთ.

დიაგრამა 6.1.5 ქართული თხილის ექსპორტის საშუალო ღირებულება 2010-2020 წლებში⁷




წყარო: საგარეო ვაჭრობის პორტალი <http://ex-trade.geostat.ge/ka> [7]

რაც შეეხება მიმდინარე 2020 წელს, იანვარ-აპრილის მონაცემებით, საკმაოდ ოპტიმისტურად გამოიყურება. ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტის ღირებულება საშუალოდ 0.81 აშშ დოლარით არის გაზრდილი წინა წელთან შედარებით, ნაჭუჭგაუცლელის კი 1.00 აშშ დოლარით (იხ დიაგრამა 6.1.3).

დიაგრამა 6.1.6 ქართული ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტი მსოფლიოში 2019-2020 წლების იანვარ-აპრილში

⁷ მონაცემები მიღებული შემდეგი გამოთვლით: $\text{თხილის საშუალო ფასი} = \frac{\text{ექსპორტის საერთო ღირებულება}}{\text{ექსპორტის საერთო მოცულობა}}$



წყარო: საგარეო ვაჭრობის პორტალი <http://ex-trade.geostat.ge/ka> [7]

2019 წლის იანვარ-აპრილთან შედარებით გაზრდილია ექსპორტის მოცულობაც. 2019 წლის პირველი ოთხი თვის მონაცემებით ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტის მოცულობა 2,051.2 ტონას უდრდა, ხოლო 2020 წლის იმავე პერიოდში ექსპორტი 2,142.5 ტონამდე გაიზარდა, რაც 5%-იან ზრდას გულისხმობს, ხოლო შემოსავლის მოცულობა გაზრდილია 26.5%-ით, ამიტომ შეგვიძლია მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით უკეთეს შედეგებს უნდა ველოდოთ.

ცხრილი 6.2.1 ქართული ნაჭუჭგაუცლელი თხილის ექსპორტი მსოფლიოს ქვეყნებში 2015-2020⁸ წწ

საქართველოში წარმოებული თხილის უმსხვილესი საექსპორტო ბაზრები	ქართული ნაჭუჭგაუცლელი თხილის ექსპორტი (ტონა)					
	2015	2016	2017	2018	2019	2020
მსოფლიო, სულ	3132.1	5676	2878.7	1981.8	6907.4	557.7
ევროკავშირი	598.4	967.9	199.1	68.5	1014.8	94.1
ჩინეთი	-	-	140	313	1007.8	26
იტალია	508.4	924.5	94.6	22.6	967.8	94
ვიეტნამი	-	-	393	90	-	-
ერაყი	199	247	244	188.6	293.8	-
უზბეკეთი	70.8	147	82.8	60	81	-

წყარო: საგარეო ვაჭრობის პორტალი <http://ex-trade.geostat.ge/ka> [7]

⁸ 2020 წელს არასრული (პირველი ოთხი თვის) სტატისტიკური მონაცემები

ცხრილ 6.2.1-ის მიხედვით, ნაჭუჭგაუცლელი თხილის ძირითადი ნაწილის ექსპორტი ხდება შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი, იტალია, ვიეტნამი, ერაყი, უზბეკეთი (ძირითადად აზიის ქვეყნები).

ცხრილი 6.2.2 ქართული ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტი მსოფლიოს ქვეყნებში 2015-2020⁹ წწ


საქართველოში წარმოებული თხილის უმსხვილესი საექსპორტო ბაზრები	ქართული ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტი (ტონა)					
	2015	2016	2017	2018	2019	2020
მსოფლიო, სულ	18223.0	25309.0	13365.4	9584.6	9742.4	2142.5
ევროკავშირი	15352.9	20626.1	8769.9	6253.7	7001.5	1785.6
გერმანია	5227.8	6695.3	2341.9	1032.6	2010.1	551.6
იტალია	4269.3	6898.3	3201	2520.6	1963.9	538
ჩეხეთი	1096.8	1196.8	766.6	541.6	713	130.8
რუსეთი	1265.5	1440	1948	1092.1	679	48
ლიეტუვა	276.9	473.3	427.8	493.6	539.5	110.5
საფრანგეთი	485.8	1263.7	416	351	495	63
ესპანეთი	1293.4	1222.3	359	343.1	467	111.5
პოლონეთი	271	223	255	232	424.8	139
ბელარუსი	65.2	112.8	100.4	90.1	372.5	165
უკრაინა	151.8	342.9	524.8	527.6	338.4	67
ტუნისი	208	594.9	349.5	393	297	24
ლატვია	143	131	186.4	127.5	162.5	42.7
კანადა	35.2	166.2	83.4	140.9	149.7	25

წყარო: საგარეო ვაჭრობის პორტალი <http://ex-trade.geostat.ge/ka> [7]

ცხრილ 6.2.2-ზე ჩამოთვლილია ის ქვეყნები, რომელშიც საქართველომ 2015-2020 წლებში ნაჭუჭგაცლილი თხილის ყველაზე დიდი მოცულობის ექსპორტი განახორციელა. საქართველოში წარმოებული თხილის მოცულობის უდიდესი ნაწილი ევროკავშირის ქვეყნებში მიემართება, მაგალითად 2015 წელს ევროკავშირში ექსპორტზე გატანილი ნაჭუჭგაცლილი თხილის წილი მთლიან ექსპორტში 84% იყო, 2016 წელს - 81.4%, 2017 წელს - 65,6%, 2018 წელს - 65.2%, 2019 წელს - 71.9% ხოლო 2020 წლის იანვარ-აპრილში - 83.3%. ნაჭუჭგაუცლელი თხილის ბაზარი შედარებით განსხვავებულია,

⁹ 2020 წელს არასრული (პირველი ოთხი თვის) სტატისტიკური მონაცემები


დიაგრამა 6.1.7 ქართული ნაჭუჭგაუცლელი თხილის ექსპორტი მსოფლიოს ქვეყნებში 2019 წელს



წყარო: საგარეო ვაჭრობის პორტალი <http://ex-trade.geostat.ge/ka> [7]

2019 წლის მონაცემებით საქართველოს მიერ ექსპორტირებული ნაჭუჭგაუცლელი თხილის უდიდესი ნაწილი, 86% სამ ქვეყანაზე ნაწილდება, ესენია: ჩინეთი (38%), იტალია (37%) და ერაყი (11%). დანარჩენ 14%-ს იწარმოებენ შემდეგი ქვეყნები: ალჟირი, უზბეკეთი, ბრაზილია, ბელარუსი, ლიეტუვა და სხვ.

დიაგრამა 6.1.8 ქართული ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 2019 წელს




წყარო: საგარეო ვაჭრობის პორტალი <http://ex-trade.geostat.ge/ka> [7]

ნაჭუჭკაუცლელი თხილისგან განსხვავებით, საქართველოს მიერ ნაჭუჭკაცლილი თხილის ექსპორტი გაცილებით მეტ ქვეყანაში ხდება. 2019 წლის მონაცემებით ქართული ექსპორტის უდიდესი ნაწილი 41% ორ ქვეყანაზე, გერმანია (21%) და იტალიაზე (20%) მოდიოდა. ქვეყანათა ჩამონათვალში ასევეა: ჩეხეთი (7%), რუსეთი (7%), ლიეტუვა (6%), საფრანგეთი (5%), ესპანეთი (5%), პოლონეთი (4%), ბელარუსი (4%), უკრაინა (3%), ტუნისი (3%), ლატვია (2%), კანადა (2%) და სხვ.

2020 წლის იანვარ-აპრილში ქართული ნაჭუჭკაცლილი თხილის უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნები ასე გამოიყურება:

1. გერმანია - 551.6 ტონა (3883.5 ათასი აშშ დოლარი)
2. იტალია - 538 ტონა (3483.2 ათასი აშშ დოლარი)
3. ბელარუსი - 165 ტონა (855.1 ათასი აშშ დოლარი)
4. პოლონეთი - 139 ტონა (921 ათასი აშშ დოლარი)
5. ჩეხეთი - 130.8 ტონა (805.5 ათასი აშშ დოლარი)
6. ესპანეთი, ლიეტუვა - 110.5 ტონა (784 ათასი აშშ დოლარი)

დიაგრამა 6.1.9 ქართული ნაჭუჭკაუცლელი თხილის ექსპორტი მსოფლიოს ქვეყნებში 2020 წელს (იანვარი-აპრილი)




წყარო: საგარეო ვაჭრობის პორტალი <http://ex-trade.geostat.ge/ka> [7]

რაც შეეხება ნაჭუჭგაუცლელ თხილს, 2020 წლის 4 თვის განმავლობაში ექსპორტი განხორციელდა მხოლოდ 6 ქვეყანაში, ესენია (იხ.დიაგრამა 6.1.10):

1. იტალია - 94 ტონა (380.4 ათასი აშშ დოლარი);
2. ჩინეთი - 26 ტონა (75.4 ათასი აშშ დოლარი);
3. ისრაელი - 14 ტონა (44.1 ათასი აშშ დოლარი);
4. ტუნისი - 12 ტონა (38.4 ათასი აშშ დოლარი);
5. ბელარუსი - 7 ტონა (16.1 ათასი აშშ დოლარი);
6. ბელგია - 0.1 ტონა (0.4 ათასი აშშ დოლარი).

როგორც ვხედავთ, მიმდინარე წელს გერმანიამ საქართველოდან მხოლოდ ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტი მოახდინა, იტალიამ კი საკმაოდ დიდი რაოდენობით შეიძინა როგორც ნაჭუჭგაცლილი, ისე ნაჭუჭგაუცლელი თხილი.

დიაგრამა 6.1.10 ქართული ნაჭუჭგაუცლელი თხილის ექსპორტი მსოფლიოს ქვეყნებში 2020 წელს (იანვარი-აპრილი)




წყარო: საგარეო ვაჭრობის პორტალი <http://ex-trade.geostat.ge/ka> [7]

2020 წელი გერ არ დასრულებულა, და რაიმე მნიშვნელოვანი დასკვნების ზრდა შეიძლება ნაადრევი ჩაითვალოს, თუმცა აშკარაა, რომ მიმდინარე წელს ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტი უკვე საკმაოდ ბევრ ქვეყანაში მოხდა. საქართველოში გადამამუშავებელი საწარმოების ზრდის პარალელურად, მომავალ წლებში მოცულობის კიდევ უფრო ზრდას უნდა ველოდოთ.

ექსპორტის მოცულობის გარდა მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ იმაზეც, თუ რა არის ქართული თხილის ექსპორტის ღირებულება სხვადასხვა ქვეყანაში (იხ. დიაგრამა 6.1.11).

დიაგრამა 6.1.11 ქართული ნაჭუჭგაცლილი თხილის საშუალო საექსპორტო ღირებულება თითოეულ ქვეყანაში 2020 წელს (იანვარი-აპრილი)



წყარო: საგარეო ვაჭრობის პორტალი <http://ex-trade.geostat.ge/ka> [7]

2020 წლის პირველ ოთხი თვის სტატისტიკურ მასალაზე დაყრდნობით, შეიძლება გამოვყოთ ქვეყნები, სადაც საქართველოში წარმოებული თხილი ყველაზე მაღალი საშუალო საექსპორტო ღირებულებით გავიდა, ესენია:

1. კანადა - 7.6 აშშ დოლარი
2. ხორვატია - 7.5 აშშ დოლარი
3. ჩინეთი და ტუნისი - 7.4 აშშ დოლარი
4. ლატვია - 7.2 აშშ დოლარი
5. ესპანეთი და ლიეტუვა - 7.1 აშშ დოლარი
6. საფრანგეთი და გერმანია - 7.0 აშშ დოლარი
7. სლოვაკეთი, რუსეთი და სამხრეთ აფრიკა - 6.9 აშშ დოლარი
8. არაბთა გაერთიანებული საამიროები - 6.7 აშშ დოლარი
9. პოლონეთი - 6.6 აშშ დოლარი
10. იტალია - 6.5 აშშ დოლარი

დიაგრამაზე 6.1.5 ვნახეთ, ქართული ნაჭუჭგაცლილი თხილის საშუალო ექსპორტის ღირებულება 2020 წელს 6.6 აშშ დოლარია. დიაგრამა 6.1.11-ზე კი ვხედავთ, რომ ყველაზე დაბალ ფასად ქართული თხილის ექსპორტი უკრაინასა და ბელარუსში ხდება, ეს ღირებულება საშუალოზე 1.4-2.4 აშშ დოლარით ნაკლებია. ამის პარალელურად, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ ძირითადად ევროკავშირის ქვეყნები შეისყიდიან ქართული თხილის დიდ მოცულობას საშუალოზე მაღალი ღირებულებით. ამით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული თხილისთვის ყველაზე პერსპექტიულ საექსპორტო ბაზარს სწორედ ევროკავშირი წარმოადგენს.

გარდა ნაჭუჭგაცლილი და ნაჭუჭგაუცლელი თხილისა, საქართველოს ექსპორტზე გააქვს გადამუშავებული თხილი მოხალული, ფქვილის, ზეთისა და თხილის პასტის სახით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს თხილის ნაჭუჭის გადამუშავებით მიღებული ბრიკეტების ექსპორტიც. ბრიკეტი, ეს არის შეშის ჩამნაცვლებელი სათბობი საშუალება, რომელსაც შეუძლია ხე-ტყის ჩეხვის აუცილებლობის შემცირება. 1 ტონა თხილს ნაჭუჭისგან დამზადებულ ბრიკეტს აქვს შესაძლებლობა გადაარჩინოს 7 ხე გაჩეხვისგან, ამას გარდა 10 კილოგრამიანი ბრიკეტი გაცილებით დიდხანს იწვის ვიდრე იგივე რაოდენობის შეშა, ეს კი მის ეკონომიურობას უსვამს ხაზს. გარდა ამისა აღნიშნულ სათბობ საშუალებას შეუძლია ისეთი საწვავის ჩანაცლება, როგორცაა ქვანახშირი და ნავთობი. პროდუქცია ძირითადად ძირითადად გადის აზერბაიჯანსა და თურქეთში, თუმცა მომავალში იგეგმება ევროკავშირის მრავალ ქვეყანაში გატანა, ვინაიდან თხილის ნაჭუჭისგან დამზადებული ბრიკეტები ევროკავშირშიც ძალზედ პოპულარულია. ევროპის ქვეყნებიდან საფრანგეთიც აწარმოებენ აღნიშნულ ბრიკეტებს ევროპის ბაზრისთვის, თუმცა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საქართველოს მისი 4-ჯერ იაფად წარმოების შესაძლებლობა აქვს [16].

6.2 ქართული თხილის პერსპექტივები ევროკავშირის ბაზარზე

თხილი, ეთილის სპირტი, ყურძნის ნატურალური წვენი - ეს სასოფლო სამეურნეო პროდუქტებს შორის სამი წამყვანი პროდუქტია, რომელიც ევროპის ბაზარზე ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებით მოთხოვნადია. ქართული პროდუქტები

ყველაზე დიდი რაოდენობით გერმანიის, იტალიის, ესპანეთის, პოლონეთსა და ჩეხეთის ბაზრის დახლებზე ხვდება.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA)-ის ამოქმედებით, საქართველოში წარმოებული პროდუქციისთვის (გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში) გახსნილია მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს აერთიანებს [8].

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით მიმდინარეობს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან ეტაპობრივი დაახლოება, რომელიც მოიცავს 2015-2027 წლებს. აღნიშნული დაახლოების შედეგად, ქართველ მეწარმეებსა და ბიზნეს ოპერატორებს მეტი შესაძლებლობა ექნებათ ევროკავშირის ქვეყნებში გაიტანონ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

რაც შეეხება თხილის მსოფლიო მოხმარებას, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მსოფლიოში წარმოებული თხილის საშუალოდ 25%-ს „ფერერო“ შეისყიდის და იყენებს შოკოლადის, კერძოდ ნუტელას წარმოებისთვის. ეს იტალიური შოკოლადის მწარმოებელი კომპანია მსოფლიოს ტკბილეულის მწარმოებელი სექტორის მნიშვნელოვან ნაწილს ფლობს და მის შოკოლადზე მოთხოვნა მზარდია. რაც შეეხება ნუტელას, ეს არის შოკოლადის სპრედი, რომელიც დღესდღეისობის საკონდიტრო ინდუსტრიაში მრავალმხრივი მოხმარებით გამოირჩევა.

ძალზედ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2007 წელს "ფერერომ" საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში, თხილის პლანტაციების გასაშენებლად და ორი გადამამუშავებელი საწარმოს ასაშენებლად მიწა შეისყიდა. საქართველოში ბიზნესი "ფერერომ" შვილობილი კომპანიის - აგრიჯორჯიას - დაარსებით დაიწყო, რომლის 100%-ს თავად ფლობს. უნდა აღინიშნოს, რომ "ფერერო" ყოველწლიურად 75 ქვეყანაში 180,000 ტონა "ნუტელას" ყიდის, რისთვისაც კომპანიას ყოველწლიურად 25,000 ტონაზე მეტი თხილი სჭირდება.

"ფერერო" რეგიონში ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელია. გარემოს დაცვისა და სოფლი მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით კომპანიას საქართველოში ჰყავს 170

მუდმივად დასაქმებული, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებებისათვის დამატებით 500-მდე დროებით მუშას ქირაობს, კომპანია ასევე დიდ ინვესტიციას დებს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის - გზებისა და ხიდების - რეაბილიტაციაში.


თხილის წარმოება ერთადერთი სექტორია, სადაც საქართველო მსოფლიოს 10 წამყვან მწარმოებელს შორის სახელდება, მაგალითად მსოფლიოს თხილის მწარმოებელ ქვეყანათა შორის 2010 და 2013 წელს საქართველო მე-4 ადგილს იკავებდა, ხოლო 2014-2015 წლებში მესამე ადგილზეც კი იყო. წარმოებული თხილის რაოდენობა ბევრად ჩამორჩება მსოფლიოს წამყვანი მწარმოებლის - თურქეთის მაჩვენებელს, რომელიც 600,000 ტონაზე მეტს აწარმოებს, მაშინ როცა საქართველოს მიერ წარმოებული თხილის მაქსიმალური რაოდენობა 2013 წელს დაფიქსირდა და 39,700 ტონა შეადგინა, თუმცა მსოფლიო ბანკის 2009 წლის საქართველოს კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს შეუძლია, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით სხვადასხვა მიმართულებით მეტად კონკურენტუნარიანი იყოს, მაგალითად, შრომის ანაზღაურება, მიწის ღირებულება, შედარებით მოქნილი საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული პროცედურები, კლიმატი და სხვა. გარდა ამისა, კლიმატის კონტროლისა და ირიგაციისათვის საქართველოს მხოლოდ მცირე ინვესტიცია სჭირდება.

საქართველოში თხილის წარმოებაში 5,000-ზე მეტი ოჯახია ჩართული და არსებობს 20-ზე მეტი გადამამუშავებელი საწარმო, რომელთა რიცხვიც ყოველწლიურად მატულობს. ეს იმას ნიშნავს, რომ თხილის წარმოების მიმართულებით საჭირო უნარ-ჩვევები მეტ-ნაკლებად განვითარებულია. საქართველოსთვის სისუსტეს წარმოადგენს თხილის მოყვანისა და გადამამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სტანდარტების არცოდნა წარმოადგენს. ამიტომაც ხარისხი თურქულ თხილზე დაბალია. საშუალოდ, ერთი კილოგრამი დაკრეფილი თხილი საქართველოში 400 გრამზე ნაკლებ გულს იძლევა, მაშინ როცა ეს თურქეთში 500 გრამის ტოლია [17]. ამიტომ "ფერეროს" მსგავს თანამედროვე, მსოფლიოში აღიარებულ და უკვე გლობალურ ბაზარზე დამკვიდრებულ კომპანიებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის. ამგვარ კომპანიებს დიდი გავლენა აქვს რეგიონის ეკონომიკაზე, რომლებიც ფლობენ და ავრცელებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, ცოდნას და ქმნიან დასაქმების შესაძლებლობებს.

როგორც წინა თავში ვნახეთ, ევროკავშირის ქვეყნებიდან ყველაზე მსხვილ სავაჭრო პარტნიორებს თხილის ბაზარზე წარმოადგენენ გერმანია და იტალია, მათზე ქართული თხილის ყოველწლიური ექსპორტის ნახევარზე მეტი მოდის. სიაში ასევეა: ჩეხეთი, ლიეტუვა, საფრანგეთი, ესპანეთი, პოლონეთი, ლატვია და სხვ. რაც შეეხება ნაჭუჭგაუცლელ თხილს, ევროკავშირის ქვეყნებიდან იტალიაა წამყვანი საექსპორტო ბაზარი.

საქართველოსთვის ყველაზე პერსპექტიულ ბაზარს ევროკავშირი წარმოადგენს, თხილის ყველაზე მეტი რაოდენობის ექსპორტიც ტრადიციულად სწორედ ევროკავშირის ქვეყნებში ხდება, თუმცა უკანასკნელ პერიოდში თხილის კულტურა სხვადასხვა საშიშმა დაავადებებმა და მავნებლებმა დააზიანეს, რამაც ექსპორტის მოცულობის მნიშვნელოვნად შემცირება გამოიწვია.

დიაგრამა 6.2.1 ქართული თხილის ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე 2010-2020¹⁰ წლებში.




წყარო: საგარეო ვაჭრობის პორტალი <http://ex-trade.geostat.ge/ka> [7]

დიაგრამაზე 6.2.2 ვხედავთ, რომ ევროკავშირის მიერ განხორციელებული ექსპორტის მოცულობათა ტრენდი აღმავალია, ევროკავშირის ქვეყნები ყოველწლიურად უფრო მეტ თხილს მოიხმარენ. გამოყენების სფეროს ძირითადად საკვები ინდუსტრია წარმოადგენს. ამას გარდა ევროპის ქვეყნებში მრავლადაა ტკბილეულის

¹⁰ 2020 წელს არასრული (პირველი 4 თვის) სტატისტიკური მონაცემები

(განსაკუთრებით შოკოლადის) მწარმოებელი, როგორც მსხვილი, ასევე მცირე და საშუალო კომპანიები, რომლებიც წარმოებაში თხილს იყენებენ. ნაჭუჭგაცლილი თხილის იმპორტის მოცულობა 2017 წელს 170105 ტონა იყო, რაც წინა წელთან შედარებით 5.7%-იან ზრდას გულისხმობს.

დიაგრამა 6.2.2 ევროკავშირის ქვეყნების მიერ განხორციელებული ნაჭუჭგაცლილი და ნაჭუჭგაუცლელი თხილის იმპორტი 2006-2017 წლებში¹¹




წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/> [2]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ქვეყნების მიერ იმპორტირებული ნაჭუჭგაცლილი თხილის მოცულობის ზრდის პარალელურად შემცირების ტენდენცია აქვს ნაჭუჭგაუცლელი თხილის იმპორტს, ამას თუ დავუმატებთ იმ ფაქტს, რომ ქართული თხილის ექსპორტიც ევროკავშირის ქვეყნებში ძირითადად ნაჭუჭგაცლილი თხილით ხდება, მწარმოებლებმა ეს ფაქტი უნდა გაითვალისწინონ, რათა მეტად შეუსაბამონ წარმოება იმპორტიორი ქვეყნების მოთხოვნებს.

¹¹ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სტატისტიკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ევროკავშირის მიერ ნაჭუჭგაუცლელი თხილის იმპორტის ნოცულობის მონაცემები მხოლოდ 2014 წლიდან მოიპოვება.


დიაგრამა 6.2.3 ევროკავშირის ქვეყნების მიერ წარმოებული თხილის რაოდენობა 2006-2018 წლებში



წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/> [2]

იმპორტის ზრდასთან ერთად 2014 წლიდან სტაბილურად იზრდება ევროკავშირის მიერ წარმოებული თხილის რაოდენობა (იხ. დიაგრამა 6.2.3), რაც სწორედ მზარდ მოთხოვნას უსვამს ხაზს. 2017 წელთან შედარების 2018 წელს ევროკავშირის მიერ თხილის წარმოება 4%-ით არის გაზრდილი, ხოლო 2014 წელთან შედარებით ზრდა 55%-ია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.


დიაგრამა 6.2.4 ქართული თხილის ექსპორტის საშუალო ღირებულებისა და ევროკავშირის თხილის იმპორტის საშუალო ღირებულების შედარება 2010-2017 წლებში



წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/> [2]

დიაგრამა 6.2.4-ზე წარმოდგენილია ევროკავშირის თხილის იმპორტის საშუალო ყოველწლიური ფასისა და ქართული თხილის ექსპორტის საშუალო ყოველწლიური ღირებულების შედარება. როგორც ვხედავთ, ჩვეულებისამებრ ქართული თხილის ფასი ნაკლებია იმ ფასზე, რისი გადახდისთვისაც ევროკავშირი არის მზად. 2010-2017 წლებზე დაყრდნობით გამონაკლისს მხოლოდ 2014 წელი წარმოადგენდა, როცა ქართული თხილის ექსპორტის საშუალო ღირებულება მცირედით მეტი იყო ევროკავშირის თხილის საშუალო საიმპორტო ფასზე. ეს ლოგიკურიცაა, როგორც წინა თავებში ვნახეთ, აღნიშნული წელს ქართული თხილს აღმავლობის პერიოდი ჰქონდა, ფასიც, წარმოებისა და ექსპორტის რაოდენობაც უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ყველაზე მაღალ ნიშნულზე იყო. ეს ფაქტი საქართველომ პრიორიტეტად უნდა აქციოს. ქვეყანას აქვს პოტენციური კონკურენტულ ფასად საკმაოდ დიდი რაოდენობის თხილი აწარმოოს.

დიაგრამა 6.2.5 თხილის ფასი ფერმერის კართან ევროკავშირის იმპორტიორ 5 უმსხვილეს ქვეყანაში (2009-2018)




წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/> [2]

2018 წელს ევროკავშირის იმპორტიორ უმსხვილესი ქვეყნების 1 ტონა თხილის მწარმოებელთა ფასები შემდეგია:

- იტალია - 4055.7 აშშ დოლარი
- თურქეთი - 1951.3 აშშ დოლარი
- საქართველო - 1699.6 აშშ დოლარი

თხილის მწარმოებელთა საქართველოში გაცილებით დაბალია, ვიდრე ევროკავშირის იმპორტიორი უმსხვილესი ქვეყნებში. თურქეთისა და იტალიის თხილის ფასი უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში პერმანენტულად მაღალი იყო ქართული თხილის ფასზე, რაც ჩვენს ქვეყანას შესაძლებლობას აძლევს მათ მიერ წარმოებული თხილის დიდ მოცულობას შედარებით დაბალი ფასით დაუპირისპირდეს, ეს კი საქართველოს თხილის ექსპორტირებაში კონკურენტულს გახდის ევროკავშირის ბაზარზე (იხ. დიაგრამა 6.2.8).

დიაგრამა 6.2.6 ქართული ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე. 2019 და 2020 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემების (იანვარ-აპრილი) შედარება



წყარო: საგარეო ვაჭრობის პორტალი <http://ex-trade.geostat.ge/ka> [7]

2020 წელს 2019 წელთან შედარებით მეტი ქართული თხილის ექსპორტი განხორციელდა ევროკავშირში. ამ ორი წლის პირველი ოთხი თვის მონაცემებს თუ შევადარებთ ქართული ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტი გაზრდილია 40%-ით, მიღებული შემოსავალი კი 65.8%-ით (იხ. დიაგრამა 6.2.9). ეს ძალზედ მნიშვნელოვანია და თუ ტენდენცია შენარჩუნდა 2019 წელთან შედარებით 2020 წელს თხილის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლის მნიშვნელოვან ზრდას უნდა ველოდოთ.

თავი 7. SWOT ანალიზი

ცხრილი 7.1 ქართული თხილის წარმოების SWOT ანალიზი

<p style="text-align: center;"><u>Strengths ძლიერი მხარეები</u></p> <ul style="list-style-type: none"> • თხილის კონკურენტული (დაბალი) ფასი; • ქვეყნის ხელსაყრელი მდებარეობა თხილის მოყვანისა და წარმოებისთვის; • თხილის კულტივირების მრავალწლოვანი ტრადიცია; • საერთაშორისო ბაზარზე უკვე დამკვიდრებული მაღალი პოზიცია. 	<p style="text-align: center;"><u>Weaknesses სუსტი მხარეები</u></p> <ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე ტექნოლოგიების სიმცირე; • თხილის შედარებით დაბალი ხარისხი; • ნაკლები პროდუქტიულობა; • დარგის განვითარებისთვის საჭირო კაპიტალის სიმცირე; • პირველად წარმოებაში სტანდარტების არ არსებობა.
<p style="text-align: center;"><u>Opportunities შესაძლებლობები</u></p> <ul style="list-style-type: none"> • ევროკავშირის ბაზარზე ქართული თხილის ექსპორტის ზრდის შესაძლებლობა; • ქართულ თხილზე მზარდი მოთხოვნა საერთაშორისო ბაზრებისგან; • მსოფლიოს მიერ თხილზე მზარდი მოთხოვნა; • არსებული ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულებები სხვადასხვა ქვეყანასთან. 	<p style="text-align: center;"><u>Threats საფრთხეები</u></p> <ul style="list-style-type: none"> • კონკურენცია სხვა ქვეყნების მხრიდან, რომლებსაც შეუძლიათ მეტი რაოდენობისა თხილის წარმოება; • მავნებელთა უეცარი შემოსევა; • კლიმატის ცვლილება; • ქართველ მეწარმეთა მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედებები;

დასკვნა

საქართველოში თხილის ბიზნესს ისტორიულად ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა სოფლის მეურნეობაში, თუმცა უკანასკნელ პერიოდში მეურნეობა მრავალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. პრობლემებს შორისაა: მავნებელი აზიური ფაროსანა, კიბოს გამომწვევი თხილის სოკო, კვირტის ტკიპა, ამბროზიის ხოჭო; ამას დაემატა რეპუტაციის დაკარგვა ევროკავსირის ქვეყნების ბაზარზე. ამიტომ საჭიროა რიგი ღონისძიებების ჩატარება, რათა აღმოიფხვას პრობლემები, გაიზარდოს ხარისხიანი თხილის წარმოების მოცულობა და თხილის ექსპორტით მიღებული შემოსავალი.

ღონისძიებათა შორის, რომელა დახმარებითაც მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრად შეძლებს ქვეყანა, შეიძლება განვიხილოთ შემდეგი:

საერთაშორისო ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად ჯიშების გაუმჯობესება – ერთ-ერთი უმთავრესია მაღალპროდუქტიული და გარემო კლიმატური პირობების მიმართ უფრო მეტად მდგრადი ჯიშების დანერგვის ხელშეწყობა, რომელიც საშუალებას მისცემს ფერმერებს გაზარდონ მოსავლის ყოველწლიური მოცულობა. თურქეთს თხილი ბაზარზე დომინირებას მნიშვნელოვანწილად სწორედ მისი ხარისხი და პროდუქტიულობა განაპირობებს.

მცენარეთა დაცვის ხარისხის ამაღლება – ამისთვის აუცილებელია კვალიფიციური მცენარეთა დაცვის სპეციალისტებისა და ხარისხიანი სამკურნალო საშუალებების არსებობა, თუმცა რაც ყველაზე მნიშვნელოვანია უნდა მოხდეს მეწარმეთა ინფორმირება მცენარეთა დაცვის აუცილებლობის შესახებ. მრავალი პრობლემა სწორედ იმით იყო გამოწვეული, რომ მეწარმეთა დიდი ნაწილი ხშირი შეწამვლისა და კულტურის შესაბამისი მოვლის აუცილებლობას ვერ ხედავდა.

მექანიზაციის საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა – მიუხედავად მექანიზაციის ცენტრების არსებობისა, დღესდღეობით თხილის პლანტაციების მფლობელთათვის თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა მაინც დაბალია, ტექნიკის არასაკმარისობის გამო კი მომხმარებლების მომსახურება ხშირად დროში ყოვნდება.

დარგში კოოპერირების განვითარების ხელშეწყობა - ფერმერები ცალ-ცალკე მცირე ზომის პლანტაციებს ფლობენ და, შესაბამისად, მცირე მეურნეობა აქვთ, ამის გამო ისინი დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ წარმოების პროცესში თანამედროვე მვირადღირებულ ტექნიკის ჩართვასა და შემკრები პუნქტების მოწყობას, ასევე მათთვის რთულია თხილის გადამყიდველებისა და ექსპორტიორი საწარმოების დამოუკიდებლად მოძიება. ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი ეფექტური გზა შეიძლება იყოს კოოპერირების მეშვეობით მეურნეობების მოცულობის ზრდა, რაც მათ ხელმისაწვდომობას ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე მნიშვნელოვნად გაზრდიდა.

ქართული თხილის ბაზარზე წარმოქმნილი პრობლემების მიუხედავად, საქართველოს გააჩნია პერსპექტივა. საჭიროა, როგორც სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა (რაც დღევანდელი მდგომარეობით საკმაოდ ოპტიმალურად გამოიყურება), ასევე მეწარმეთა მხრიდან მეტი ყურადღება, თხილის მოვლა მოყვანისას ყველა პირობის დაცვა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროდუქტის წარმოება. ამ კუთხით ძალზედ მნიშვნელოვანია კომპანია ფერეროს საქართველოში შემოსვლა, რომელსაც მაღალხარისიანი თხილის წარმოებისთვის ტექნოლოგიური ცოდნა და გამოცდილება შემოაქვს.

უკანასკნელი მონაცემები ოპტიმისტურად გამოიყურება. წლევანდელი (2020) წლის მონაცემებით გაზრდილია როგორც ნაჭუჭგაცლილი, ისე ნაჭუჭგაუცლელი თხილისწარმოება და ექსპორტი. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ წელს თხილი უფრო მაღალი ფასით იყიდება როგორც ევროკავშირის, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ვიდრე გასულ წელს იყო. ეს ხარისხის გაუმჯობესებასა და იმიჯის შედარებით ამაღლებაზე მიუთითებს.

მსოფლიოს ცალკეულ კულტურათა წარმოების ხუთეულში საქართველო მხოლოდ თხილის წარმოებითაა წარმოდგენილი, ამიტომ მნიშვნელოვანია ამ პოზიციის შენარჩუნება და საქართველოს შემოსავლების ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ ქცევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაბრიჩიძე ზ. თხილის ბაღის გაშენება და მოვლა, თბილისი, 2017
2. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია <http://www.fao.org/>
3. კვეზერაძე ა. „საქართველოს სხვადასხვა რეგიონში თხილში გავრცელებული ზოგიერთი სოკოვანი დაავადებების გამომწვევის გამოყოფა, იდენტიფიკაცია და მათი კონტროლის ეფექტიანი საშუალებების შესწავლა ლაბორატორიულ პირობებში“, თბილისი, 2019
4. ლორია მ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, გვ. 33, თბილისი, 1980
5. მიქაძე თ. „თხილის გადამმუშავებელი სიმძლავრეები საქართველოში“, თბილისი, 2017 <https://agronews.ge/thkhilis-gadammushavebeli-simdzlavreebi-saqarthveloshi/>
6. პეტრაძე გ. საქართველოს ზოგიერთი ზეთოვანი კულტურიდან ვიტამინურ-ამინომჟავური კომპლექსების მიღება თანამედროვე ტექნოლოგიური დამუშავების გზით, თბილისი, 2018
7. საგარეო ვაჭრობის პორტალი <http://ex-trade.geostat.ge/ka>
8. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი <https://mepa.gov.ge/Ge/Page/AboutDCFTA>
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური <https://www.geostat.ge/>
10. ჩავლეიშვილი მ. „ქართული თხილის ბაზარი: შეფასება, პერსპექტივები“, თბილისი 2019
11. ჩერქეზიშვილი ტ. „თხილი – დარგვა, გამრავლება – თხილის ბაღის გაშენება“, თბილისი, 2019 <https://agrokavkaz.ge/dargebi/mebageoba/thkhili-dargva-mqhnoba-gamravleba-thkhilis-baghis-gasheneba.html>
12. ძერია კ., მიქაძე ნ., ცხვედაძე ლ. თხილის კვირტის ტკიპა-ნიშნები და ბრძოლის ღონისძიებები, თბილისი, 2020 <https://agrokavkaz.ge/dargebi/mebageoba/thkhilis-kvirtis-tkipa-nishnebi-da-brdzolis-ghonisdziebebi.html>
13. წერეთელი გ., დუნდუა თ. თხილი- გასენება, მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია, თბილისი, ელკანა, 2009
14. ხასია თ. თხილი, თბილისი, 2015

15. Abdollah Hosseinpour, Esmail Seifi, Davood Javadi, Sanaz Ramezanpour, Thomas. J. Molnar, Nut and kernel characteristics of twelve hazelnut cultivars grown in Iran, Iran, 2012
16. <http://eugeorgia.info/ka/latestarticle/244/saqartveloshi-txilis-nachuchis-briketebis-inovaciuri-warmoeba-daiwyo/>
17. <http://liberali.ge/articles/view/941/salome.ge>
18. <http://www.bigsale.ge/nicenuts/>
19. <http://www.fao.org/3/x4484e/x4484e03.htm>
20. <http://www.fruitsofturkey.com/products/hazelnut/hazelnut-products/>
21. <http://www.ghga.ge/page/about-us>
22. <http://www.radioatinati.ge/regioni/article/61147-saqarthveloshi-thkhilis-msoflio-kongresi-gaimartheba.html>
23. <https://agrokavkaz.ge/dargebi/mebageoba/ambroziis-khotcho-thkhilnarebis-sashishi-mavnebeli-rekomendatsiebi.html>
24. <https://agrokavkaz.ge/dargebi/mebageoba/thkhili-kultura-saqarthveloshi-gavrtsebuli-jishebi.html>
25. <https://bmcplantbiol.biomedcentral.com/articles/10.1186/1471-2229-13-152>
26. <https://bm.ge/ka/article/jorjian-prodaqts-renesansma-30-mde-qveyanashi-eqsportze-900-tona-txili-gaitana-/46597>
27. <https://bm.ge/ka/article/samegreloshi-txilis-gadamamushavebeli-axali-sawarmo-geo-food-gaixsna/5391>
28. <https://khasaia.wordpress.com/2014/04/15/%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%90/>
29. <https://khasaia.wordpress.com/2014/11/06/1117/>
30. https://plants.usda.gov/plantguide/pdf/pg_coam3.pdf
31. <https://www.azernews.az/business/158654.html>
32. <https://www.bpn.ge/article/23099-ram-gamoicvia-kartuli-txilis-eksportis-shemcireba/>

33. <https://www.bpn.ge/article/51430-rogor-mocmdeba-aplatoksinze-txili-sakartvelos-txilis-gadamamushavebelta-da-eksportiorta-asociaciis-ganmarteba/>
34. <https://www.gatewaytosouthamerica-newsblog.com/hazelnut-production-in-chile/>
35. <https://www.interpressnews.ge/ka/article/526206-sakartvelos-txilis-gadamamushavebelta-da-eksportiorta-asociacia-ganmartavs-procedurebs-romlitac-kartul-txilshi-aplatoksinis-shemcvelobis-shemocmeba-xdeba/>
36. <https://www.radioatinati.ge/r-e-k-l-a-m-a/article/69302-ingirshi-gadamushavebuli-thkhili-evropis-bazarze-video-.html>
37. <https://www.radiotavisupleba.ge/a/tkhilis-tsarmoebis-programa/27185141.html>
38. <https://www.tasteatlas.com/most-popular-hazelnuts-in-italy>

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mari Shoshiashvili

The export potential of Georgian hazelnut at the EU market

Master's Program in Economics and Business Administration

The work is done to obtain the academic degree of Master of Economics

Instructor: Academic doctor of economics

Ekaterine Zviadadze

Tbilisi 2020